# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 30 მაისი 1995 № 28 (166) ფასი 1000 მან ან ფარდი კუპ

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩვენთვის ეს გამარჯვებაა!

### ბესიკ ლიპარტელიანი პირველი ქართველი მწვრთნელია, რომელმაც ეროვნულ გუნდს ევროპის ჩემპიონატის ერთი, თუნდაც საკვალიფიკაციო ეტაპი დააძლევინა

| | |
|---|---|
| პოლონეთი | 68:91 |
| დანია | 97:86 |
| ინგლისი | 76:84 |
| უელსი | 101:73 |
| ლუქსემბურგი | 81:64 |

ასეთი გახლავთ საქართველოს კალათბურთელ ვაჟთა ნაკრების გამოსვლის შედეგები ევროპის 1997 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც 24-28 მაისს გაიმართა ინგლისის ქალაქ ბირმინგემში. პოლონეთთან სასტარტო მატჩში სოლიდური მარცხის მიუხედავად, ჩვენმა ნაკრებმა შეასრულა პროგრამა-მინიმუმი: დაამარცხა დანია, უელსი, ლუქსემბურგი; მესამე ადგილზე გავიდა და შესარჩევ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა! ქართულმა კალათბურთმა, სხვისთვის იქნებ უმნიშვნელო, მაგრამ თავისთვის დიდი გამარჯვება იზეიმა: შემოდგომიდან მომავალი წლის ბოლომდე ეროვნული გუნდი 10 შესარჩევ მატჩს გამართავს. ტურნირი მიმოსვლითი იქნება, რაც თბილისში ხუთი ძლიერი ევროპული ნაკრების თამაშის ხილვის საშუალებას მოგვცემს. რომ არა ბირმინგემული წარმატება, პერსპექტივა არცთუ სახეირო იყო: პატრონობას ისედაც მოკლებული კალათბურთი მთლად უპატრონოდ დარჩებოდა.

დღეს ტურნირის პერიპეტიებზე, სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. ეს ანგარიშებიც დიდის ჯახირით შევიტყვეთ უცხოური წყაროებიდან, ნაკრების ხელმძღვანელთა თუ მოთამაშეთა ოჯახის წევრებისგან და ა.შ. მშრალი ფაქტებიდან ისლა შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მწვრთნელებმა სწორად განსაზღვრეს მთავარი მეტოქის ვინაობა და ეტყობა, მისი, დანიის დამარცხება ყველაზე მეტად გაუჭირდათ. თუმცაღა, ისიც ვთქვათ, რომ დანია არცთუ ხელწამოსაკრავი გუნდი ყოფილა — პოლონეთმა ბოლოსკენლა მოუგო 75:64.

არც იმ მოთამაშეთა ვინაობა ვიცით დაზუსტებით, განსაკუთრებით რომ გამოიჩინეს თავი. გვაქვს რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, რომელთა გამოქვეყნებისგან შეგნებულად ვიკავებთ თავს. მაგრამ ამას იქნებ არც ჰქონდეს პრინციპული მნიშვნელობა: წარმატებას გუნდმა მიაღწია და მისი უკლებლივ ყველა წევრი ქების ღირსია! ლომის წილი კი ამ საქმეში მთავარ მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს და მის თანაშემწეებს უძევთ. ბესიკმა მოახერხა ის, რაც ჯერჯერობით ვერ შეძლო ვერცერთმა სხვა სახელის მწვრთნელმა: ეროვნულ გუნდს დააძლევინა ევროპის ჩემპიონატის ერთი (თუნდაც საკვალიფიკაციო) ეტაპი. ისიც გავიხსენოთ, რომ ლიპარტელიანმა ინგლისში თითქმის უვარჯიშებელი, შეკრებაგაუვლელი, უსახსრო და ნახევრადდამშეული ნაკრები წაიყვანა. არც მეტოქეებზე იცოდა თუნდაც იოტისოდენა რამ, მაგრამ გარისკა და აკი მიზანსაც მიაღწია! იქნებ ახლა მაინც დაფასდეს ამ ახალგაზრდა კაცის შრომა, რომელსაც „საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის“ წოდებაც კი არ ღირსებია. არადა, ქართველ მწვრთნელთა ახალთაობიდან უპირველესად იგი იმსახურებს აღიარებას და იქნებ მეტსაც.

ნაკრები თბილისში ხვალ, 31 მაისს დაბრუნდება. ჩვენ კი სხვა გზა არა გვაქვს — ბირმინგემულ ამბებზე საუბარი სამომავლოდ უნდა გადავდოთ.

მერაბ რატიშვილი

## დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო!

ზეიმია მსოფლიო რაგბში! დღესასწაულობენ ქართველი მორაგბეებიც! სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს 16 რჩეული ნაკრები შეყრილა და ლეგენდარული ვებ ელისის თასისთვის მესამედ ეცილება ერთმანეთს, ჩვენთან კი უცხოური რაგბის ამსახველი პირველი ვიდეოკასეტის შემოტანიდან 12 წლის თავზე, როგორც იქნა, აღსრულდა რაგბის რიგითი ქართველი ქომაგის ოცნება, ტელევიზიით პირდაპირ ეჭვრიტა უმაღლესი დონის თამაშისათვის. ქეიფთაუნში, გახსნის მატჩში, „ქურციკებმა“ ლამაზად დაამარცხეს „ვოლაბები“ და ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტებადაც იქცნენ. ჩვენთან, ცალკერძ თბილისსა და ცალკერძ ქუთაისში, საზოგადოება რამდენსამე ადგილას შეიკრიბა და ამ დაუვიწყარ სანახაობას უყურა, საბურთალოელები კი მხარ-თეძოზე წამოწოლილნი შინ ტკბებოდნენ იშვიათი და უცხო სეირით.



„ქურციკთაგან“ თავი ბევრმა გამოიჩინა. ერთი მათგანია 8 ნომერი რუდი სტრაული, აქ მოტანილ სურათზე ბურთი ხელთ რომ უპყრია.

რაგბის ამბები იხილეთ მეშვიდე გვერდზე



## თბილისის «დინამომ» მეოთხედ მოიგო ეროვნული თასი, პირველად — დავით ყიფიანის მეთაურობით. ხვალ თბილისელები მეექვსედ გახდებიან საქართველოს ჩემპიონები

გიორგი თხინვალელის ფოტოები



### სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

1995 წლის 1 ივნისს 14 საათზე თბილისის ჟურნალისტთა სახლში გაიმართება საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. დღის წესრიგშია: პრეზიდიუმის ანგარიში; სარევიზიო კომისიის ანგარიში; წესდების ახალი რედაქციის განხილვა-დამტკიცება; ბიუჯეტის დამტკიცება; არჩევნები.

ასოციაციის წევრთა დასწრება სავალდებულოა.



გიორგი დემეტრაძის გადამწყვეტი გოლი

# საქართველოს ჩემპიონატის ლოგიკური ფინალი

საქართველოს თასის ფინალი.

თბილისი, 26 მაისი

## დინამო 1:0 ბათუმი

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, მაჭავარიანი, კიკნაძე, ნემსაძე (ყიფიანი 56), ჯამარაული (დემეტრაძე 16), იაშვილი, ქინქლაძე, ცქიტიშვილი.

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, ფუტკარაძე (მუჯირი 80), ი. მახარაძე, შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე, კანტიძე (ხომერიკი 46).

1:0 დემეტრაძე (27)

გაფრთხილება: ლობჟანიძე, მაჭავარიანი, ყიფიანი; მ. მახარაძე, შეყილაძე, მაჭუტაძე

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

საქართველოს თასის მეხუთე ფინალი სანახაობრივად წინამორბედებზე უსახური გამოდგა. არ ვიცი, სიცხის ბრალი იყო, მომქანცველი ჩემპიონატის თუ სათასო ციებ-ცხელებისა, მაგრამ იმ დღეს პატრონის მომლოდინე თასის გარდა ვერაფერი მიგანიშნებდათ ამ მატჩის გამორჩეულობაზე. მაყურებელიც ოდნავ იმაზე მეტი მოვიდა, საქართველოს პირველობის შეხვედრებზე რომ დადის ხოლმე...

თამაში ნელა, „სვენებ-სვენებით" დაიწყო და ასევე ჩათავდა: მეტოქეებმა მხოლოდ ტაიმების ბოლოს გაიბრძოლეს, როცა ბათუმელებმა თავგანწირვით შეუტიეს. პირველად კანტიძის პასით შეჭრილი ტულუში საჯარიმოში მოცელეს, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა, რადგან ბათუმელებმა უკეთესი გაგრძელება მიღეს: უჯმაჯურიძე, ფაქტიურად, მარტო აღმოჩნდა ცარიელი კარის წინ, მაგრამ უხეიროდ დაარტყა — მარჯვენა ძელს მოახვედრა ბურთი, მერე მაჭუტაძემაც უხეიროდ დაამატა და ხარიხას გადააცილა. მეორე სახიფათო მომენტი კი მატჩის მიწურულსღა შეიქმნა: ბათუმელებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და თავგანწირვით შეუტიეს, მაგრამ მაჭუტაძემ კვლავ ვერ ივარგა — ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა ისევ გააფუჭა საგოლე მომენტი და ზედმეტი ნახევარი საათი ყურებისგან დაგვინდო.

თუ ვინმეს გამოყოფა შეიძლებოდა, ბათუმელთაგან კანტიძე იყო, მხოლოდ პირველი ტაიმი რომ ითამაშა და ბრწყინვალე პასებიც არიგა, თბილისელთაგან კი ახალგაზრდა ცქიტიშვილი — გამარჯვების გოლი სწორედ რომ მან „გააკეთა": მარცხენა ფრთაზე ექსპრესივით ჩაუქროლა ბათუმელ მცველებს და უზუსტესი პასი ჩააწოდა საჯარიმოს ცენტრში, აქ კი ათიოდ წუთის წინ შემოსულმა დემეტრაძემ დაასწრო მეტოქეებსაც და თავისიანებსაც.

...მაყურებლები კი ამ გუნდების ორი წლის წინანდელი საფინალო ორთაბრძოლას იხსენებდნენ, როცა მინდორზე ბრწყინავდნენ ქინქლაძე, შელია, ძმები არველაძეები, ბათუმელები — ხომერიკი და ტულუში. ის თამაში მართლაც საფინალო იყო და დასავიწყებლადაც ძნელი.

მატჩის შემდეგ არაერთგან წავაწყდი შეფიქრიანებულ გულშემატკივრებს, ჩვენი ნაკრების ლიდერების, ქინქლაძისა და ნემსაძის ჯრასახარბიელო ფორმას რომ დარდობდნენ. მართლებიც იყვნენ: ორიოდ კვირაში ხომ ნაკრებმა უელსში უნდა ითამაშოს, ამათ კი ტრავმების და მიზეზთა გამო ბევრი გაუცდათ და, ვინ იცის, მზად იქნებიან თუ არა 7 ივნისისთვის. ამ ნიჭიერი ფეხბურთელების ზრდის შეჩერება ტრავმებზე უფრო ჩვენი უსახური პირველობის ბრალია, რომლის დონე დღითი დღე ეცემა და თუ რაიმე არ ვიღონეთ, ბევრ იმისთანას ჩამოვრჩებით, ახლა რომ ვჯობივართ.

რაც შეეხება ქინქლაძესა და ნემსაძეს, ამათი ნიჭის პატრონი განაცდურს უეჭველად აღიდგენს, ოღონდ მათი უცხოეთს, ძლიერ კლუბში წასვლა დაუხანებელი აუცილებლობაა (იგივე უნდა ითქვას ჯამარაულზეც), რადგან ისე გადამწიფდნენ ჩვენი პირველობისთვის, როგორც მოუკრეფავი ხილი გვიან შემოდგომაზე...

ზაზა ბენდელიანის სახელობის ტრადიციული პრიზები კი საუკეთესო მცველებმა — მამუკა მაჭავარიანმა და მალხაზ მახარაძემ მიიღეს.

**მამუკა კვარაცხელია**

**გიორგი თხინვალელის**
ფოტოები



## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ჯგუფი

28-ე ტური, 18 მაისი

### დურუჯი 3:1 გურია

დურუჯი: პაქსაშვილი, მოსიაშვილი, გეგეშიძე, ელოშვილი (ჯაშიაშვილი), ბოჭორიშვილი, ჭაჭუა, ყანჩაშვილი, ქარენაშვილი, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი (წიწრიაშვილი), ღვინიაშვილი

გურია: წულაძე, ქიქავა, იმნაძე, მ.კუკულაძე, ბუცურეიშვილი, ლორია, წილოსანი, შ.კუკულაძე, პატარაია, ებრალიძე (10 კაცი)

1:0 გ.ხუბეჯიშვილი (21), 2:0 პაქსაშვილი (75პ), 2:1 ბუცურეიშვილი (76), 3:1 პაქსაშვილი (78)

მსაჯი: მ.კობიაშვილი (დუშეთი)

### კოლხეთი 4:0 ზუგდიდი

კოლხეთი 1913: გვასალია, ქობულაძე, თიბილაშვილი, გოროზია (გიორგაძე 7), ინიაშვილი, ლალანიძე, კიკლიაშვილი (ქუნთელია 70), ტორჩინავა, გიგატაძე, დარასელია, ბულუხია

ზუგდიდი: ჭანტურია (დ. მიქავა 46), ახვლედიანი, ჯაბუა (ერქვანია 46), თუთბერიძე, მიქაძე, ქაძანაია, კვარაცხელია, კუტალია (აფაქიძე 68), დარასელია, გუგუჩია, გაბედავა

1:0 დარასელია (2), 2:0 დარასელია (44), 3:0 დარასელია (81), 4:0 დარასელია (86)

მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

29-ე ტური, 22 მაისი

### ზუგდიდი 4:3 ტორპედო

ზუგდიდი: დ. მიქავა, ახვლედიანი, ერქვანია, აფაქიძე, მიქაძე, ქაძანაია, გუგუჩია, კუტალია, დარასელია, გაბისონია, გაბედავა (გვიჩია 68)

ტორპედო: ვარდანიძე, შეყრილაძე, თურმანიძე, სადილიანი, ვოსკანოვი, წიქარიშვილი, გიორგობიანი, ხუნდაძე, ნოზაძე, კვეტენაძე (ჯინჭარაძე 29), ვაჩიბერიძე (ხერხაძე 29)

### სამგურალი 0:7 დინამო

სამგურალი: კიკალეიშვილი, ქობულაძე (ქუთათელაძე 81), თოდაძე, ლ. ფესტვენიძე, ივანიშვილი (გუბელაძე 65), გ. ჩიხლაძე, მუშკუდიანი, იობიძე, ჯანაშია, აშვეთია, ჩხეტიანი

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, კიკნაძე, ნემსაძე, ჯამარაული (დემეტრაძე 30), იაშვილი (ყიფიანი 68), ქინქლაძე, ცქიტიშვილი

0:1 იაშვილი (3), 0:2 ჯამარაული (5), 0:3 დემეტრაძე (35), 0:4 კიკნაძე (48), 0:5 ყიფიანი (81), 0:6 დემეტრაძე (83), 0:7 ცქიტიშვილი (88)

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

### იბერია 1:2 ბათუმი

იბერია: ტოგონიძე, ნეკერაშვილი, ლომიძე, ჩადუნელი, ვეშაპიძე, ტყემალაძე, იობაშვილი, ჩიბაშვილი, მარლიშვილი, ქობულაშვილი, ნიკლაური

ბათუმი: ბალაძე, გოგიტიძე, ფუტკარაძე, სიჭინავა, შეყილაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ამბიძე, უჯმაჯურიძე (ხომერიკი 46), კანტიძე

1:0 ნიკლაური (45), 1:1 მაჭუტაძე (73), 1:2 მაჭუტაძე (90)

მსაჯი: გ. ხეჩუაშვილი (კასპი)

### მარგვეთი 7:0 გურია

მარგვეთი: ნიქაბერიძე, ბებიაშვილი (ქადაგიძე 57), გურიელიძე, მალლაკელიძე, ლოლნლაძე, სულაკაძე, ფოცხვერაშვილი, კაკუბავა (თხელიძე 46), ჩხეტია, კიკნაძე, ენდელაძე

გურია: წულაძე, შ. კუკულაძე (კვინტრაძე 46), იმნაძე, ქიქავა, მ. კუკულაძე, ლორია, წილოსანი, განიევი, ებრალიძე, ნოდია, პატარაია

1:0 ფოცხვერაშვილი (21), 2:0 ენდელაძე (28), 3:0 ენდელაძე (48), 4:0 კიკნაძე (65), 5:0 იმნაძე (68 საკ. კარში), 6:0 ენდელაძე (75), 7:0 ენდელაძე (80)

მსაჯი: მ. ჭელიძე (თბილისი)

### მეტალურგი 0:0 სამტრედია

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, ბურნაძე, არჩვაძე (ქველაძე, 70), კობიაშვილი, გახოკიძე (კილასონია 75), ყაველაშვილი, გ. კილასონია, გაფრინდაშვილი, მეტრეველი, ზირაქიშვილი

სამტრედია: ჭანტურია, იონანიძე, გუჯაბიძე, ჯელაძე, ჯიშკარიანი, ცომაია, გოგიაშვილი, გოგიჩაიშვილი (გოგიტაძე 80), ჯიკაევი, ფანჩულიძე, ჩხაიძე

გაფრთხილება: ჩხაიძე, ცომაია, გოგიტიძე

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### დილა 0:0 შევარდენი

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ხ. გაგნიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი (რევაზიშვილი 65), მარეხაშვილი, ციცქიშვილი, მინდიაშვილი (ტაბატაძე 75), ზ. ხორგუაშვილი, ლომიძე

შევარდენი: სიდამონიძე, მაისურაძე, მესტუმრე, გუჩუა, შილაკაძე, კალმახელიძე (დათუაძე 46), გოგიბერიშვილი, ლ. ბერიშვილი (თოლორდავა 65), ჯელაძე, ფრიდონაშვილი, შუბითიძე

მსაჯი: რ.გარნოვსკი (სამტრედია)

### საპოვნელა 1:4 კოლხეთი

საპოვნელა: თევზაძე, კუხანაძე, ლილუაშვილი, ხელაძე, ხვარეშია, უკლება, ბუნტური, ჯულელი, მირალიშვილი, ახვლედიანი, ხურცილავა

კოლხეთი 1913: ბოჭორიშვილი, ქუნთელია, გიორგაძე, გოროზია, ინიაშვილი, ლალანიძე, კიკლიაშვილი, ტორჩინავა, გიგატაძე, დარასელია, ბულუხია

0:1 დარასელია (8), 1:1 ხურცილავა (16), 1:2 გოროზია (40), 1:3 დარასელია (52), 1:4 დარასელია (75)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

### კახეთი 0:0 დურუჯი

კახეთი: ჩლაიძე, შალამბერიძე, ათუაშვილი, ცქიფურიშვილი, სოლოლაშვილი, დოლიძე, ბაკურაძე, ტარუღაშვილი, შონია, ბაბულაიძე, მანჭარაული (გოგიაშვილი)

დურუჯი: პაქსაშვილი, ვ.ხუბეჯიშვილი, გეგეშიძე, ელოშვილი, ბოჭორიშვილი, ჭაჭუა, ყანჩაშვილი (ლობჟანიძე), ჯაშიაშვილი, პოზოიანი, გ. ხუბეჯიშვილი (ქარენაშვილი), ღვინიაშვილი

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 29 | 24 | 3 | 2 | 118-32 | 75 |
| სამტრედია | 29 | 24 | 2 | 3 | 72-21 | 74 |
| კოლხეთი | 29 | 20 | 3 | 6 | 72-28 | 63 |
| ბათუმი | 29 | 15 | 6 | 8 | 66-40 | 51 |
| ტორპედო | 29 | 14 | 2 | 13 | 58-47 | 44 |
| მეტალურგი | 29 | 12 | 8 | 9 | 48-33 | 44 |
| ზუგდიდი | 29 | 13 | 4 | 12 | 54-51 | 43 |
| დილა | 29 | 10 | 6 | 13 | 25-35 | 36 |
| მარგვეთი | 29 | 9 | 6 | 14 | 31-51 | 33 |
| იბერია | 29 | 9 | 4 | 16 | 40-54 | 31 |
| კახეთი | 29 | 7 | 10 | 12 | 36-52 | 31 |
| გურია | 29 | 8 | 5 | 16 | 36-81 | 29 |
| შევარდენი | 29 | 7 | 8 | 14 | 31-46 | 29 |
| დურუჯი | 29 | 8 | 3 | 18 | 26-61 | 27 |
| საპოვნელა | 29 | 6 | 6 | 17 | 34-76 | 24 |
| სამგურალი | 29 | 5 | 6 | 18 | 30-68 | 21 |

საპოვნელამ და სამგურალმა პირველი ჯგუფი უნდა დატოვონ

31 მაისს, ბოლო ტურში თამაშობენ:

დინამო — კახეთი
სამტრედია — ზუგდიდი
დურუჯი — მარგვეთი
გურია — დილა
შევარდენი — იბერია
ბათუმი — მეტალურგი
ტორპედო — საპოვნელა
კოლხეთი — სამგურალი

ბომბარდირები

გიორგი დარასელია (კოლხეთი) — 26
მამუკა ხუნდაძე (ტორპედო) — 25
ალექსანდრე იაშვილი (დინამო) — 21
გელა გაბისონია (ზუგდიდი) — 20
პაატა მაჭუტაძე (ბათუმი) — 19
გია ჯიშკარიანი (სამტრედია) — 17
ზვიად ენდელაძე (მარგვეთი) — 17



მეექვსე ჩემპიონატის 28-ე ტურში მესამედ იმსჯა პირველი ჯგუფის მატჩი დუშეთელმა არბიტრმა მალხაზ კობიაშვილმა

## ინფორმა

30-ე ტური. 31 მაისი

[illegible] შემდეგ ფრჩხილებში მითითებულია პირველი წრის შედეგი, შემდეგ სტრიქონში — საერთო ბალანსი [illegible] ჩემპიონატებში: მოგება, [illegible] ფრე, წაგება, ბურთები.

### დინამო — კახეთი (4:3)

+5(3) =0 -0 22-8(13-5)

უეჭველია, ეს შეხვედრა თბილისელებს ჩემპიონებად აკურთხებს — მას შემდეგ, რაც „სამტრედიამ" „ოქროს" ორი ქულა დაკარგა რუსთავში, დინამოელები მეექვსე ჩემპიონობის შანსს, ცხადია, ხელიდან არ გაუშვებენ. მხოლოდ ერთხელ, მეორე ეროვნულ ჩემპიონატში გაირკვა ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში: „დინამოს" ფრეც ხელს აძლევდა ზესტაფონში „მარგვეთთან" და აკი მიაღწიეს კიდეც საწადელს — 3:3. პირველ ჩემპიონატში თბილისელებმა ორი ტურით ადრე გაინაღდეს პირველობა, მესამეში — სამით, მეოთხეში — ხუთით, მეხუთეში კი ბოლოსწინა ტურში ისევ „მარგვეთის" ძლევით. თელაველები მასპინძელთათვის უხერხულ მეტოქეს არ წარმოადგენენ, ამჟამად პირველ ჯგუფში მყოფი გუნდებიდან, მხოლოდ მათ და ყვარლის „დურუჯს" არ მოუპოვებიათ არცერთი ქულა დინამოელებთან პაექრობაში. თუმცა ხუთიდან სამში ისინი მხოლოდ მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ, ორში კი დიდი ანგარიშით. ამჟამად დინამოელს გიორგი დემეტრაძეს თავისი დებიუტი პირველ ჯგუფში სწორედ თბილისელებთან შეხვედრაში ჰქონდა და იგი გოლითაც აღნიშნა, მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრაში კი თელაველთა კარიც დალაშქრა. ბომბარდირებს შორის წინ არიან: თბილისელთაგან — ინალიშვილი, ქინქლაძე, იაშვილი — 4-4 გოლი, სტუმართაგან — შონია — 3. ურთიერთშეხვედრებში 6 პენალტი დაინიშნა, თბილისელებმა ოთხივე გამოიყენეს, თელაველებმა — ორიდან ერთი. ამათი შეხვედრები კორექტული იყო — მხოლოდ პირველ მატჩში მიიღეს მეტოქეებმა თითო ყვითელი ბარათი.

### სამტრედია — ზუგდიდი (3:0)

+5(2) =3(3) -2(0) 18-9 (7-4)

მთელი სეზონის განმავლობაში სამტრედიელები ერთპიროვნული ლიდერები იყვნენ, მაგრამ ჩემპიონატის ფინიშზე სამი გადამწყვეტი ორთაბრძოლიდან ვერცერთი მოიგეს და მთელი წლის ნაჯაფარი წყალში გადაყარეს. თუმცა ფეხბურთში ყველაფერი ხდება და ისინი ალბათ ბოლომდე იბრძოლებენ. ზუგდიდელებმა კი პირიქით — მეორე წრე შესანიშნავად ჩაატარეს და თითქმის ორჯერ მეტი ქულა მოაგროვეს ვიდრე პირველ წრეში, ამ მაჩვენებლით ისინი მხოლოდ თბილისის „დინამოს" და „სამტრედიას" ჩამორჩნენ. საერთაშორისო შეხვედრებში უპირატესობას მასპინძლებმა ბოლო სამი მატჩის მოგებით მიაღწიეს, მათ შორის ორისა ზუგდიდში, თანაც დიდი ანგარიშით. სამტრედიაში გამართული პირველი სამი შეხვედრა ფრედ დასრულდა და მხოლოდ უკანასკნელი ორი მოიგეს მასპინძლებმა. ამათ მატჩებში ბომბარდირები სტაბილურობით ვერ გამოირჩეოდნენ — სამტრედიელთა 18 გატანილი გოლი 16 ფეხბურთელზე მოდის, ზუგდიდელთა 9 — რვაზე. 2-2 გოლით წინ არიან: იონანიძე, დავით ჯანაშია (ორივე „სამტრედია"), ბიგვავა („ზუგდიდი"). ამათ შეხვედრებს უხეში არ ეთქმის — მხოლოდ 5 გაფრთხილება.

### ბათუმი — მეტალურგი (0:3)

+2(1) =3(2) -3(0) 8-14(5-4)

უწინ ამათი შეხვედრები მუდამ უშედეგოდ ბათილი იყო, მაგრამ ამჯერად, სატურნირო ვითარების გამო, დაძაბულობა მოსალოდნელი არ არის: მასპინძლებმა მეოთხე ადგილი უკვე გაინაღდეს, ხოლო სტუმრები წარმატება-წარუმატებლობის შემთხვევაშიც კი ალბათ მეექვსეზე დარჩებიან. რუსთაველებმა საერთაშორისო შეხვედრებში მინიმალურ უპირატესობას მას შემდეგ მი-

ალწიეს, როცა ამ ჩემპიონატის პირველი წრის მატჩში მეტოქე რუსთავში არ ჩაუვიდათ. პირველ ოთხ შეხვედრაში გუნდებმა ორ-ორჯერ გაიმარჯვეს, მომდევნო სამი კი ფრედ დასრულდა. საერთმანეთო შეხვედრებში ბომბარდირობენ ტულუში („ბათუმი") — 4 გოლი, ძმები კაპანაძეები, ფანცულაია, ვარლამ კილასონია (ოთხივე „მეტალურგი") — 2-2. კორექტულიაო, ამათ შეხვედრებზე ითქმის — მხოლოდ ერთი გაფრთხილება, ისიც პირველ მატჩში, რომელიც ამათთვის დებიუტი იყო ეროვნულ ჩემპიონატებში.

**შევარდენი — ივერია (0:3)**

+5(2) =1(1) -4(1) 16-9(7-2)

ამ შეხვედრას მხოლოდ ათეულში მოხვედრისთვისღა თუ აქვს მნიშვნელობა. სტუმრებს საამისოდ შეხვედრის ფრედ დამთავრებაც ჰყოფნით, მასპინძლები კი მოგების შემთხვევაშიც შეიძლება ათეულს მიღმა დარჩნენ. ამათი მატჩები ხშირად სწორედ ინტრიგით გამოირჩეოდა. ჯერ იყო და, რიგით მესამე შეხვედრაში, ხაშურში, მასპინძლებმა გაიმარჯვეს 3:2, მაგრამ მაყურებელთა უდისციპლინობის გამო დაისაჯნენ და წაგება ჩაეთვალათ. მეხუთე ჩემპიონატის მატჩში კი ივერიელები შინ არ გამოუცხადდნენ მეტოქეს და კვლავ წაგება მიესაჯათ. ამ ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრაში თბილისელები, მართალია, ხაშურში სათამაშოდ კი ჩავიდნენ, მაგრამ სათამაშო სარბიელი თოვლით დაფარული დაუხვდათ და ამ მიზეზით ვერ ითამაშეს, რისთვისაც ამჯერად „შევარდენს" ჩაეთვალა წაგება. ამჟამად ივერიელმა ქობულაშვილმა თავის ყოფილ გუნდს ერთი გოლი გაუტანა, ხოლო როცა ის თბილისელთა ღირსებას იცავდა, პენალტი ვერ გაუტანა თავის ახლანდელ თანაგუნდელს, მანვე ერთი გაფრთხილება „შევარდენში"თამაშისას მიიღო, ორიც — „ივერიაში". თბილისელთაგან ბომბარდირია ყიზილაშვილი — 4 გოლი, ხაშურელთაგან — ყოფილი შევადენელი მინაშვილი — 2. ამათი შეხვედრები ვერ იყო კორექტული — 16 გაფრთხილება.



ბომბარდირობის პირველი კანდიდატი გიორგი დარასელია („კოლხეთი 1913")

**გურია — დილა (0:3)**

+4(4) -3(0) -3(0( 16-12(12-3)

სტუმრებისთვის ამ მატჩის შედეგს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, მასპინძლები კი, თუ ისინი გაიმარჯვებენ, ხოლო თუ „ივერია" და „კახეთი" ბოლო ტურში დამარცხდებიან, რაც სავსებით მოსალოდნელია, ლანჩხუთელები ათეულშიც ამოყოფენ თავს. არადა, მეორე წრეში გუნდმა მხოლოდ 7 ქულა მოაგროვა, რაც ყველაზე უარესი შედეგია პირველი ჯგუფის გუნდში. ამათ ეროვნულ ჩემპიონატებში პირველი შეხვედრა სწორედ ერთმანეთთან გამართეს და მასპინძლებმა, ლანჩხუთელებმა იმარჯვეს. მეორე მატჩში კი ინციდენტი მოხდა — გორში მასპინძლები იგებდნენ 1:0, მაგრამ ბოლო წუთზე სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში, მაყურებლებმა კი მსაჯს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და გოლიც არ ჩაათვლევინეს. „გურიამ" შეხვედრა გააპროტესტა, მაგრამ ნეიტრალურ მინდორზეც 0:1 დამარცხდა. ამ ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრაში გურულები არ ჩავიდნენ და წაგებაც მიესაჯათ. საერთმანეთო მატჩებში ბომბარდირობენ კორლალიძე („გურია") — 4 გოლი, მარლიშვილი („დილა") — 2. ამათი შეხვედრები ვერ იყო კორექტული — 11 ყვითელი ბარათი.

**კოლხეთი — სამგურალი (3:0)**

+8(5) =1(0) -1(0) 17-5(10-1)

თუ სხვა წყვილების შეხვედრათა შედეგებმა სატურნირო ცხრილში შესაძლოა მცირეოდენი შესწორებები მაინც შეიტანოს, ამათ მატჩზე ამას ვერ ვიტყვით: მასპინძლებმა კარგა ხანია ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს, სტუმრები კი მოგების შემთხვევაში წამოეწიონ „საპოვნელას", მაგრამ მაინც ბოლო ადგილს ვერ აცდებიან, რადგან თანაბარი ქულების შემთხვევაშიც კი თერჯოლელებს ურთიერთშეხვედრებში აქვთ უპირატესობა. ამათი პირველი შეხვედრის ფრედ დამთავრების შემდეგ ფოთელებმა ზედიზედ ხუთჯერ დაამარცხეს მეტოქე, მხოლოდ მეშვიდე მატჩში შეძლეს წყალტუბოელებმა პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ გამარჯვება, რასაც კოლხელებმა სამი მოგებით უპასუხეს, მათ შორის ერთი უთამაშებლად — მეექვსე ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრაში „სამგურალმა" ვერ შეძლო მოედნის თოვლისაგან გაწმენდა და წაგება მიეკუთვნა. ფოთელთაგან ბომბარდირობს მახარაძე — 5გოლი, წყალტუბოელთაგან მერაბ მეგრელაძე — 2. ამათ შეხვედრებს კორექტული არ ეთქმის — 1 გაძევება, 9 გაფრთხილება.

**ტორპედო — საპოვნელა (2:3)**

+0 =0 -1(0) 2-3

ამ მატჩის შედეგს სტუმრებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, — რომც მოიგონ, შეიძლება „დურუჯს" გაუსწორდნენ, მაგრამ საერთო მოგებები ყვარლელებს მეტი აქვთ და პირველ ჯგუფშიც ისინი რჩებიან. ასე რომ, თერჯოლელები ორი წლის შესვენების შემდეგ ისევ მეორე ჯგუფს უბრუნდებიან, ქუთაისელები კი გამარჯვების შემთხვევაში ინაღდებენ მეხუთე ადგილს და ეს მათ, ალბათ, არ გაუჭირდებათ. ესენი ერთმანეთს მხოლოდ ერთხელ შეხვდნენ, რადგან მეხუთე ჩემპიონატში, როცა „საპოვნელამ" პირველად ითამაშა პირველ ჯგუფში, ისინი სხვადასხვა ქვეჯგუფებში თამაშობდნენ და ერთმანეთთან თამაშმაც არ მოუწიათ.

**დურუჯი — მარვეთი (0:1)**

+0 =0 -1(0) 0-1

ამ მატჩის შედეგმაც შეიძლება მხოლოდ მინიმალური ცვლილებები შეიტანოს გათამაშების საბოლოო ცხრილში. გამარჯვების შემთხვევაში, ერთი ხანობა გასავარდნად განწირული „მარგვეთი" შესაძლოა მერვე ადგილზეც დამკვიდრდეს, „დურუჯმა" კი, თუ მოიგო, შეიძლება ერთი-ორი საფეხურით წაიწიოს. ამათი პირველი წრის შეხვედრა თბილისში გაიმართა, რადგან უამინდობის გამო ზესტაფონში თამაში შეუძლებელი იყო.

რევაზ შენგელია

# გზანი «სიბერისანი»

„შევარდენის" თავდამსხმელი ბესო ფრიდონაშვილი შვიდი-რვა წლის წინ „გურიას" შემადგენლობაში პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი იყო, შემდეგ კი ეროვნულ ჩემპიონატში სამოცამდე გოლი შეაგდო. ხუთი წლის წინ „ცხუმის" კარში მისმა თავით გატანილმა გოლმა „გურია" საქართველოს თასის პირველი მფლობელი გახადა. ამ სიდინჯით და ნესიერებით გამორჩეულ ფეხბურთელს სხვა ვეტერანთა მსგავსად კარიერის დასრულება უცხოეთში გადაუწყვეტია და მალე ალბათ გერმანიაში ითამაშებს. ბესო ახლახან დაბრუნდა იქიდან და სანამ ისევ გაემგზავრებოდა, საინტერვიუდ მოვიხელთე:

— გერმანიაში ჩემი ბავშვობის მეგობრის გოჩა თამაზაშვილის წყალობით მოვხვდი. გოჩა საქართველოდან უკრაინას გაემგზავრა და ბელაია ცერკოვის „დინამოში" გამოდიოდა. შემდეგ გერმანიის ობერლიგაში მოასპარეზე ვაიმარის „გრუნვაისში" გადავიდა და გუნდის წამყვანი მოთამაშეც გახდა. სწორედ მან დააინტერესა ქალაქ ბად ზალცუნგენის კლუბის „ვაკერ-04"-ის პრეზიდენტი, მილიონერი აჰიმ აუგუსტი და მანაც კლუბში მიმიწვია. „ვაკერ 04" თავის დივიზიონში ლიდერობს და



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ფრიდონაშვილი „ვაკერ 04"-ის პრეზიდენტ აჰიმ აუგუსტთან ერთად

უფრო ზემოთ უჭირავს თვალი. თვითონ ქალაქი ბად ზალცუნგენი 25-ათასიანი, წყნარი, საკურორტო, ტიპიური ევროპული ქალაქია, სადაც ყველა-ყველას იცნობს. დიდი ქალაქებიდან ყველაზე ახლოს მაინის ფრანკფურტია. ჩასვლისთანავე პრესკონფერენცია მოაწყვეს და მეორე დღეს აქ გამომავალ სამივე სპორტულ გაზეთში გამომჭიმეს. იმ დღიდან უკვე ყველა მცნობდა ქალაქში. პირველობაზე თამაში არ შემეძლო, მხოლოდ ამხანაგური ვითამაშე და სამი გოლი გავიტანე — ამან სულ გადარია გერმანელები. ბოლოს, იქაური წესის თანახმად, ექიმმაც გამსინჯა და რაკილა ჯანმრთელად მცნო, ყველა პრობლემა მოიხსნა. ახლა ჩემს კლუბზე და ფედერაციაზეა დამოკიდებული ჩემი გაშვება, მათ ყურადღებას ადრეც ვგრძნობდი და ალბათ ამჯერადაც მალე მომიგვარებენ ფორმალურ საკითხებს.

„კარლ ცაისის" ფარმ-კლუბში გამოდის ყოფილი სამტრედიელი ზაზა დადუნაშვილი. მისი გუნდი ბოლო ტურში „ტენისბორუსიასთან" თამაშობდა მეტად პრინციპულ მატჩს და ამ მატჩის მომგები, ფაქტიურად, მეორე ბუნდესლიგის საგზურს ინაღდებდა. ჩემი წამოსვლის წინა დღეს გოჩა თამაზაშვილი გოგოს მამა გახდა, ის დღე საავადმყოფოში გაათენა, მეორე დღეს კი სტუმრად თამაშში გადმწყვეტი გოლი გაიტანა და გუნდს მოაგებინა. მიუხედავად იმისა, ჩემი და გოჩას გუნდები ქვედა დივიზიონებში თამაშობენ, აქ მოთამაშენი ფიზიკურად საუცხოოდ არიან მომზადებული და არც სათამაშო დისციპლინის დარღვევის ფაქტი მინახავს: ყველა ზუსტად ასრულებს მწვრთნელის დავალებას, ძირითადად კი პრესინგს თამაშობენ. რაიმე ტექნიკური ილეთი თუ ფინტი მათ ძალიან აოცებთ.

გერმანელები ივნისში მელოდებიან, ახალი სეზონისთვის შეკრებაზე. მეც ბოლო წლებს იქ გავატარებ, აქ რაც შემეძლო, „გურია" იქნებოდა, „ალაზანი" თუ „შევარდენი", პატიოსნად გავაკეთე...

მამუკა კვანტალიანი



# ტყუპების კიდევ ერთი თასი

21 მაისს თურქეთის ჩემპიონატი დამთავრდა: „ტრაბზონმა" შინ „ფეთროლოფისი" დაამარცხა, თუმცა ეს მაჩანჩალა ისე გაუძალიანდა თურქეთის ვიცე-ჩემპიონს და თასის მფლობელს, არჩილს რომ მესამე გოლი არ შეეგდო, შესაძლოა, მატჩი ფრედაც დამთავრებულიყო. საბოლოოდ, „ტრაბზონმა" 3:2 მოიგო, პირველი გოლი კი შოთამ გაიტანა.

ერთ კვირაში „ტრაბზონმა" „ბეშიქთაშის" ჯავრიც ამოიყარა: „გუმპურბაშკარლიგის" ანუ თურქეთის სუპერთასზე, პრეზიდენტ სულეიმან დემირელის სახელს რომ ატარებს, 2:0 დაამარცხა. მატჩის 29-ე წუთზე შოთამ მახვილგონივრულად გაატარა ბურთი, რომელიც სონერს მიუვიდა, ამისგან ჰამის, მან კი საჯარიმოს გარედან ძლიერად დაარტყა 1:0. მატჩის მიწურულს შოთამ აბდულა გერმანიის ნაკრების ყოფილ მეკარესთან, აუმანთან პირისპირ დატოვა და მეორე გოლი გაატანინა, მანამდე კი თავად ვერ გამოიყენა მეტად ხელსაყრელი მომენტი. ასე იყო თუ ისე, „ტრაბზონმა" შარშან მოპოვებულ პრემიერ-მინისტრის თასს ჩილერის თასს (4:3 მოუგო „ფენერბაჰჩეს") წლეულს ქვეყნისა და პრეზიდენტის თასებიც დაუმატა.

# რუსეთი

VII ტური. 20 მაისი. ცსკა — კამაზი 2:2, ტორპედო — სპარტაკი ვლადიკავკაზი 1:4; როსტელმაში — სპარტაკი მოსკოვი 1:1, როტორი — ლოკომოტივი მოსკოვი 2:1, ჟემჩუჟინა — ჩერნომორეცი 2:1, ურალმაში — კრილია სოვეტოვი 0:0, ლოკომოტივი ნიჟნი ნოვგოროდი — დინამო 1:1, დინამო-გაზოვიკი — ტექსტილშჩიკი 3:0.

VIII ტური. 24 მაისი. ტორპედო — ჟემჩუჟინა 3:0, ვლადიკავკაზი — ლოკომოტივი 0:1, როსტელმაში — ჩერნომორეცი 0:2, ცსკა — დინამო 1:3, ტექსტილჩშიკი — ნ. ნოვგოროდი 1:2, გაზოვიკი — ურალმაში 0:2, კამაზი — კრ. სოვეტოვი 1:0, სპარტაკი — როტორი 1:2.

IX ტური. 27 მაისი. ლოკომოტივი — ტორპედო 0:0, როტორი — როსტელმაში 4:1, ჟემჩუჟინა — ვლადიკავკაზი 0:2, ჩერნომორეცი — სპარტაკი 1:1, დინამო — ტექსტილშჩიკი 0:0, კრ. სოვეტოვი — გაზოვიკი 6:3, ურალმაში — ცსკა 1:0, ნ. ნოვგოროდი — კამაზი 0:0

მოსკოვის „სპარტაკი" — რუსეთის მუდმივი ჩემპიონი მეტოქეებმა ისე დაიბრიყვეს, ბოლო ხუთ ტურში ხუთი ქულაღა აალებინეს და მყარად დაამკვიდრეს ცხრილის შუაგულში. სპარტაკელთა ქომაგებს ისღა ანუგეშებთ, სექტემბრიდან ჩემპიონთა ლიგაში ადგილი რომ უკვე დაბევებული აქვთ. ბესკოვის მიერ აღორძინებულ მოსკოვის „დინამოს" კი შინ „ტექსტილშჩიკთანაც" რომ მოეგო, ალბათ ველარავინ დაეწეოდა. არადა, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა ტერიოხინმა ცარიელ კარში ისეთი გოლი ვერ გაიტანა, თავად მეტოქეს გაუკვირდა. ვლადიკავკაზელებმა კვლავ მოიგეს გასვლითი მატჩი, ამჯერად სოჭში. ქართველთაგან შელიასა და ყაველაშვილს უთამაშიათ, ოღონდ გოლები პაგაევმა და ტიმოფეევმა შეაგდეს. უკანასკნელმა თეთრაძესთან საფეხბურთო როქი გააკეთა, ნახევარდაცვაში გადაინაცვლა. დევაძის „როსტსელმაში" კი ვოლგოგრადში დამარცხდა დიდი ანგარიშით და ბოლო ადგილზე ჩამოქვეითდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 9 | 7 | 2 | 0 | 16-4 | 23 |
| ვლადიკავკაზი | 8 | 6 | 0 | 2 | 18-5 | 18 |
| ლოკომოტივი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-9 | 16 |
| როტორი | 9 | 4 | 2 | 3 | 17-12 | 14 |
| ტორპედო | 9 | 4 | 2 | 3 | 13-12 | 14 |
| ურალმაში | 9 | 4 | 1 | 4 | 12-14 | 13 |
| სპარტაკი | 9 | 3 | 3 | 3 | 17-13 | 12 |
| კამაზი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-8 | 12 |
| ცსკა | 8 | 3 | 2 | 3 | 14-12 | 11 |
| ჩერნომორეცი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-13 | 10 |
| ტექსტილშჩ. | 9 | 2 | 4 | 3 | 11-11 | 10 |
| კრ. სოვეტოვი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-11 | 10 |
| ჟემჩუჟინა | 9 | 2 | 3 | 4 | 9-18 | 9 |
| ნ. ნოვგოროდი | 9 | 1 | 5 | 3 | 7-9 | 8 |
| გაზოვიკი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-22 | 7 |
| როსტელმაში | 9 | 2 | 1 | 6 | 8-20 | 7 |

# იტალია

## ბრძოლას შვიდეული განაგრძობს

33-ე ტური. 28 მაისი. **ადრე გავარდნილებს გუშინწინ „ფოჯა“ შეემატა და ახლა ბოლო ტურში ორი საკითხილაა გასარკვევი: „პადოვა“ და „ჯენოა“ ლიგაში დარჩენისთვის იბრძოლებენ, უეფას თასზე გამსვლელ მეოთხე ადგილს კი ხუთი გუნდი შეეცილება ერთმანეთს. დანარჩენებისთვის ჩემპიონატი, ფაქტიურად, დამთავრდა.**

### ფოჯა 0:1 ლაციო

ფოჯა: ფ. მანჩინი, პადალინო, ბიანკინი, ნიკოლი (69 პარიზი), ჯაკობო, კაინი, მანდელი, ბრესანი, კაპელინი, დე ვინჩენცო (81 ბაიოკი), კოლივანოვი.

ლაციო: მარკეჯანი, ნესტა, ფავალი, დი მატეო, ნეგრო, ბერგოდი, რამბაუდი (62 კაზირაგი), ფუზერი (62 ვენტურინი), ბოკშიჩი, ვინტერი, სინიორი.

11 608 მაყურებელი

მოგების შემთხვევაში მასპინძლები ლიგაში დარჩენის შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ ლუკა მარკეჯანიმ მათ იმედებს საფუძველი გამოაცალა. გაშვებულ გოლამდე ფოჯელებმა ორი მომენტი გააცუდეს, რომაელთა მეკარემ კი ორჯერ ძელიც დაიხმარა. 36-ე წუთზე სინიორიმ ბრწყინვალე ჯარიმით ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში აუტსაიდერი ბევრს ეცადა, ბრესანიმ კიდევ ერთხელ ძელს გაარტყა, კოლივანოვმა და კაპელინიმ კი მცირედით ააცილეს და „ფოჯაც“ სერია B-ში გადავიდა. აღშფოთებული მაყურებლები ამას ყველაზე ადრე მიხვდნენ და ჯერ კიდევ თამაშის დროს თავისიანებს ლანძღვა-გინება და ათასგვარი საგნების სროლა არ დააკლეს. მოკლედ, „ფოჯამ“ „რეჯანასა“ და „ბრეშიას“ ბედი გაიზიარა. ასევე ითქმის რუს კოლივანოვზე, ვინც თანამემამულე სიმუტენკოვს („რეჯანა“) არ ჩამორჩა და მის გზას გაუდგა.

### პადოვა 1:1 ჯენოა

პადოვა: ბონაიუტი, ბალერი, გაბრიელი, ფრანჩესკეტი, კუიჩი (71 სერვიდეი), ლალასი, ნუნციატა, ძორატო (63 ფონტანა), ვლაოვიჩი, ლონგი, მანიერო.

ჯენოა: სპანიულო (20 მიჩილო), ტორენტე, ფრანჩესკონი, კარიკოლა, გალანტე, სინიორინი, რუოტოლო, ბორტოლაცი, ვანტ სხიპი (80 ონორატი), სკუპრავი, მარკოლინი.

23 743 მაყურებელი

უპრინციპულესი შეხვედრა სტუმართათვის უიღბლოდ დაიწყო: მე-20 წუთზე მეკარე სპანიულო, ვინც სეზონში მეექვსე მატჩს ატარებდა, პადოველ თავდამსხმელს შეეჯახა და მოედნიდან საკაცით გასატანი შეიქნა, თუმცა ამან გენუელებზე გავლენა ვერ მოახდინა: ამათ შეტევაში უფრო რიგიანად ითამაშეს და 58-ე წუთზე დაწინაურდნენ კიდეც — ჯენარო რუოტოლომ ბონაიუტის ბურთი თავზე გადაუგდო და მართალია, მცველი კუიჩი თავით შესწვდა ბურთს, ეს უკვე კარში მოხდა. სტუმრებს ნახევარი საათიც რომ გაეძლოთ, ლიგაში დარჩენის საკითხს აქვე ამოწურავდნენ, მაგრამ წარმატებული ანგარიში მათ მხოლოდ 12 წუთი შეინარჩუნეს. ამ ხნის მანძილზე მოედანზე არაერთი შეხლა-შემოხლა მოხდა: მასპინძლებმა სპანიულოს შემცვლელის თავიდან მოცილებაც განიზრახეს, ეგებ, უმეკარეო კარებში მაინც შევაგდოთო და მანიერო მიჩილოს დაეტაკა. 24 წლის მეკარემ კი გაუძლო, მაგრამ გენუელებმა მალე საპასუხო ილეთი მოედნის ცენტრში გაიმეორეს და ფრანჩესკონი მსაჯმა გააძევა. პადოველებმა შვიდი წუთიღა იცადეს და 70-ეზე ლონგის მარჯვნიდან ჩაწოდებული პასით 32 წლის ნახევარმცველმა ფრანკო გაბრიელიმ საპასუხო გოლი გაიტანა. დამთავრებამდე კიდევ ორი საგოლე მომენტი შეიქმნა და ორივე მასპინძელთა კართან, თუმცა რუოტოლომ და სკუპრავიმ ორივე გააცუდეს. არადა, ლოგიკით, პადოველებს უფრო უნდა მოენდომებინათ სამი ქულის აღება: ბოლო ტურში „ჯენოა“ „ტორინოს“ მასპინძლობს, „პადოვა“ კი ესტუმრება „ინტერს“, რომელსაც უეფას თასზე გასასვლელად აუცილებლად მოგება ესაჭიროება. თუ ორივე გუნდი თანაბარ ქულებს დააგროვებს, ლიგაში „ჯენოა“ დარჩება, ვინაიდან პირველ წრეში მან „პადოვა“ 2:1 დაამარცხა, იტალიური წესით კი უპირატესობა სწორედ ურთიერთშეხვედრებს ენიჭება.

### კალიარი 0:1 ნაპოლი

კალიარი: ფიორი, პანკარო (76 ალეგრი), პუშედუ, ვილა, ერერა, ფირიკანო, ბიზოლი, ბერეტა (58 ნაპოლი), დელი ვალდესი, ოლივეირა, მუცი.

ნაპოლი: ტალიალატელა, პარი, ტარანტინო, ბორდინი, კანავარო, კრუსი, ბუზო, რინკონი, აგოსტინი (88 პოლიკანო), იმბრიანი (63 ბ. კარბონე), პეკია.

24 879 მაყურებელი

წინა ტურში სარდინიელებმა სტუმრად „ინტერი“ დაამარცხეს და თითქოს უეფას თასზე გამსვლელი დარჩენილი ერთი ადგილის ყველაზე რეალურ კანდიდატთაც იქცნენ, მაგრამ ამის შანსი არც ნეაპოლელებს დაუკარგავთ და კვირას ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვეს. მატჩის ერთადერთი გოლი სტუმართა პირველივე შეტევისას გავიდა: მე-15 წუთზე რენატო ბუზოს პასით 21 წლის ფაბიო პეკიამ ივაჟკაცა. „კალიარის“, რასაკვირველია, ცდა არ დაუკლია, მაგრამ ტალიალატელამ პანამელი დელი ვალდესისა და ბელგიელ-ბრაზილიელი ოლივეირას ყველა დარტყმა მოიგერია. მხოლოდ ერთხელ მოახერხა პანამელმა „ნაპოლის“ მეკარის მოტყუება, მაგრამ ბურთი მცირედით აცდა. თავის მხრივ, სტუმრები კონტრშეტევის ნებისმიერ შანსს იყენებდნენ და ცოტაოდენი იღბალი რომ ჰქონოდათ, დიდი ანგარიშითაც მოიგებდნენ: აგოსტინიმ ბურთი ძელს გაარტყა, კოლუმბიელმა რინკონმა მეკარესთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა, 84-ე წუთზე კი ბრაზილიელმა მცველმა კრუსმა პენალტი ვერ შეიფერა და აგოსტინოვით ბურთი ძელს მოახვედრა. პადოვის მატჩის დარად, აქაც ხშირი იყო კინკლაობა, რისთვისაც ორივე გუნდი დაისაჯა — დამთავრებამდე ათი წუთით ადრე მსაჯმა ოლივეირა და კანავარო გააძევა.

### სამპდორია 2:2 ინტერი

სამპდორია: ძენგა, საკეტი, სერენა, ინვერნიცი (51 სალსანო), ვერხოვოდი, მიხაილოვიჩი, ლომბარდო, იუგოვიჩი, პლატი, მანჩინი, ბელუჩი (81 ევანი).

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, ან. ორლანდო, სენო, ფესტა, მ. პაგანინი (75 დელ ანო), ბიანკი, იონკი, დელვეკიო, ბერხკამპი, ფონტოლანი (68 ორლანდინი).

30 000 მაყურებელი

ორი ცნობილი კლუბიდან ერთ-ერთი (ან ორივე) ევროთასების მიღმა დარჩება. კვირას „სამპდორიამ“ თითქმის ბოლო შანსი გაუშვა ხელიდან, წინა სეზონში უეფას თასის მფლობელი „ინტერი“ კი, თუ წელსაც ამ თასზე მოხვდა, 29 წლის ალესანდრო ბიანკის უნდა უმადლოდეს. იგი 1988 წლიდან თამაშობს გუნდში და სეზონში სამ გოლზე მეტი არასდროს გაუტანია. გუშინწინდელი მატჩის 85-ე წუთზე, როცა მასპინძლები 2:1-ს იგებდნენ, ბიანკიმ ბურთი მეტოქის საჯარიმოში მიიღო, ორ მცველს თავზე გადაუგდო, კვლავ ჩამოიღო, ერთი შეხებით ძენგას კარის ცხრიანში გაახვია და გუნდს ძვირფასი ქულა მოუტანა. „ინტერის“ პირველი გოლი კი მეხუთე წუთზევე გავიდა, როცა ჯანლუკა ფესტამ ანგარიში გახსნა. ოც წუთში ვერხოვოდმა გაათანაბრა, მეორე ტაიმის მეოცე წუთზე კი ბელუჩიმ წინ გაიყვანა მასპინძლები. არადა, ამ მომენტამდე რვა წუთით ადრე დაწინაურების შანსი მილანელებს ჰქონდათ: პლატი ძენგას წაეხმარა, რისთვისაც ინგლისელი გააძევეს და პენალტიც დანიშნეს, მაგრამ ბერხკამპმა ვერ მოზომა და ძელს გაარტყა, თუმცა ბოლოს ბიანკიმ ბერხკამპსაც უშველა და მთელ გუნდსაც. ახლა, ბოლო ტურში „ინტერი“ შინ „პადოვას“ ეთამაშება და ეს ტურის ცენტრალურ მატჩადაც შეიძლება ჩაითვალოს.

### რომა 3:0 იუვენტუსი

რომა: ჩერვონე, ალდაირი, ლანა, სტატუტო, პეტრუცი, კარბონი (76 ე. ანონი), მორიერო, პიაჩენტინი, ბალბო, ჯანინი, ფონსეკა (80 ტოტი).

იუვენტუსი: რამპულა, ფერარა, პორინი (65 ფანტინი), ტაკინარდი, ტორიჩელი, პაულო სოუზა, დი ლივიო, დეშამპი (65 ალ. ორლანდო), მაროკი, დელ პიერო, რავანელი.

67 618 მაყურებელი

მიუხედავად იმისა, რომ „რომას“ თითქმის განაღდებული ჰქონდა უეფას თასზე გასვლა, მასპინძლები ჩემპიონთან შესახვედრად მაინც მთელი სერიოზულობით მოემზადნენ. საქმე მარტო ჩემპიონთან გამარჯვების პრესტიჟულობა როდი იყო: პირველ წრეში „იუვენტუსმა“ მსაჯების აღმაშფოთებელი მიმხრობის წყალობით 3:0 მოუგო რომაელებს. ამათაც ყველა ღონე იხმარეს და გუშინწინ ყველას დაანახეს, თუ როგორია დედაქალაქელთა ვენდეტა. ანგარიში მეათე წუთზევე გაიხსნა — ალდაირმა დაარტყა, რამპულას კი ტაკინარდიმ შეუშალა ხელი და ბურთიც კარში აღმოჩნდა. იარნის, რობერტო ბაჯოსა და ვიალის გარეშე სტუმრები ერთობ უსუსურად გამოიყურებოდნენ და მთელი თამაშის მანძილზე ერთი სახიფათო მომენტი რაა,



ენრიკო კიეზას გოლმა „კრემონეზე“ გავარდნას გადაარჩინა

ისიც კი არ შეუქმნიათ. 65-ე წუთზე მარჩელო ლიპიმ მოედანზე ორი აქამდე უთამაშებელი ფეხბურთელი, ფანტინი და ალესანდრო ორლანდო გამოუშვა და ჩემპიონის საქმე მთლად წახდა. ხუთ წუთში ტაკინარდის უხეშობის გამო დანიშნული პენალტი ურუგვაელმა ფონსეკამ გამოიყენა, კიდევ ხუთ წუთში კი ფონსეკას პასით არგენტინელმა ბალბომ იხეირა. მოკლედ, მასპინძლებმა ჯავრი იყარეს და ტურინელებს სეზონში მესამე დიდი ანგარიშით მარცხი აგემეს, რაც, გასაგები მიზეზების მიუხედავად, ჩემპიონისთვის მთლად ღირსეული არ უნდა იყოს.

### პარმა 3:0 ფიორენტინა

პარმა: ბუჩი (81 ჯ. გალი), ბენარივო, დი კიარა, მინოტი, აპოლონი, ფერნანდო კოუტო, ბროლინი (46 ბრანკა), პინი (63 მუსი), კრიპა, ძოლა, ასპრილია.

ფიორენტინა: ტოლდო, პიოლი, ლუპი (46 სოტილი), კოისი (46 კიმარელი), მარსიუ სანტუში, მალუში, ტედესკო, ა. კარბონე, ბატისტუტა, რუი კოშტა, ბაიანო.

26 155 მაყურებელი

ტურინელთა მოწყობილი კოშმარი პარმელებს იოლად დაუვიწყებიათ და წინა ტურში ექვსი გოლის გამტანი „ფიორენტინა“ გაანადგურეს. გუნდებს პირველ ტაიმში თითო საგოლე მომენტი გაუცუდდათ: რუი კოშტამ ძელს გაარტყა, მერე ასპრილიამ თავური ააცილა. მეორე ტაიმიც ასევე დაიწყო და კოშტას ოდნავ უზუსტო დარტყმას მალუშის მიერ კარის ხაზიდან ბურთის გამოტანა მოჰყვა. გარდატეხა ბროლინის შემცვლელად შესულმა 30 წლის მარკო ბრანკამ შეიტანა და 75-ე წუთზე თავის ყოფილ გუნდს (1991-92 წლებში ბრანკა „ფიორენტინაში“ თამაშობდა) პირველი გოლი შეუგდო. სტუმართა შემცვლელი სოტილი კი ასეთივე ფეხბედნიერი ვერ გამოდგა და მე-80 წუთზე საჯარიმოში ძოლა მოცელა. პენალტი თავად წაქცეულმა დაარტყა — 2:0. კიდევ სამ წუთში ძოლამ ორი ფლორენციელი მცველი მოატყუა, მეკარეც გამოიტყუა და ცარიელ კარში დარტყმა ბრანკას გადააბარა.

### მილანი 0:1 ბარი

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, ფ. გალი, ბარეზი, ერანიო (66 მ. ორლანდო), დესაი, ლენტინი, ბობანი (46 დონადონი), სიმონე.

ბარი: ფონტანა, მონტანარი, პ. ანონი, რიჩი, ამორუზო, მანგონე, გაუტიერი, პედონე, ტოვალიერი (82 გერერო), ბიჯიკა, პროტი (74 ჯერსონი).

50 000 მაყურებელი

ჩემპიონთა თასის ფინალი სხვაგვარად რომ დამთავრებულიყო, კაცი იფიქრებდა, „მილანი“ ლრეობას გადაყვაო, მაგრამ ჯერ ერთი, მავანთა მტკიცებით, სუპერკლუბში ლუდსაც კი არავინ ეტანება და მეორეც, საქეიფო მილანში, ცხადია, არაფერი ჰქონდათ. მოკლედ, ამ მოულოდნელ დამარცხების მიზეზად შეიძლება ის ჩაითვალოს, რომ ახალგაზრდა ჰოლანდიელებმა სიქა გააძრეს ვეტერან ვარსკვლავებს, ანდა ტრადიციულად „მილანმა“ გაჭირვებულის შველა გადაწყვიტა. ასეა თუ ისე, 64-ე წუთზე სანდრო ტოვალიერის გატანილ ერთადერთ გოლს მასპინძლებმა ვერაფრით უპასუხეს და მრავალრიცხოვანი მონუგეშენი გააწბილეს. მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში ირჯებოდა ჩემპიონთა თასის ფინალისტი ჩვეულად, მაგრამ აქაც ალბერტო ფონტანას მხოლოდ შორეული დარტყმების მოგერიება თუ უხდებოდა.

### ბრეშია 1:2 კრემონეზე

ბრეშია: ბალოტა, ადანი, დი მური, მეცანოტი, ბარონკელი, ბატისტინი, სკენარდი, კორინი (33 ბარონიო), ნერი, ბონომეტი (62 მარანგონი), გალო.

კრემონეზე: ტურჩი, გარსია, მილანეზე, ს. დე აგოსტინი (46 კრისტიანი), დალ ინია (56 გუალკო), პედრონი, კიეზა, ჯანდებიაჯი, ფლორიანჩიჩი, ნიკოლინი, ტენტონი.

8 587 მაყურებელი

მასპინძლებმა „სერია B“-ში კრემონელთა გადაყოლებაც მოინდომეს და მე-12 წუთზე ნერის გოლით დაწინაურდნენ კიდეც. წაგების შემთხვევაში სტუმრები მეოთხე გასავარდნი ადგილის უპირველესი კანდიდატები ხდებოდნენ და ცხადია, დიდი ძალებით შეუტიეს. 29-ე წუთზე მილანეზეს პასით ტენტონიმ ანგარიში გათანაბრა და თამაშიც დაიძაბა. მსაჯმა ექვსი ფეხბურთელი გააფრთხილა, აქედან ოთხი მასპინძელი, მაგრამ ამათ უხეშობას არ უკლეს და დაისაჯნენ კიდეც: 53-ე წუთზე ბატისტინიმ საჯარიმოში ტენტონი წააქცია და ენრიკო კიეზამ პენალტით თავის გუნდს გაამარჯვებინა. დარჩენილ დროში სტუმრებს ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ კიეზამ ძელს გაარტყა, ერთხელ კი ბალოტას ადანიც წაეხმარა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. ამ მოგებით „კრემონეზემ“ ლიგაში დარჩენა გაინაღდა.

### ტორინო 4:0 რეჯანა

ტორინო: სიმონი (87 პასტინე), პესოტო, ლორენცინი, ანგლომა, პელეგრინი, მალტალიატი, რიციტელი, შიენცა, ბერნარდინი, პელე (55 ოზიო), კრისტალინი (66 კიპრიენი).

რეჯანა: ანტონიოლი, კერუბინი, ძანუტა, სგარბოზა (63 ლ. დე აგოსტინი), მოცინი, მაცოლა, ესპოზიტო, დე ნაპოლი, რუი აგუაში (80 ფალკო), ბრამბილა, სიმუტენკოვი.

16 185 მაყურებელი

უიღბლო სეზონის ბოლო საშინაო მატჩში ტურინელებმა ისე გაახარეს თავიანთი ქომაგები, რომ ესენი საფინალო სასტვენისთანავე მოედანზე გადმოცვივდნენ და გაილალეს. მასპინძლებმა წყალწაღებული რეჯო ემილიელები პირველივე ტაიმში გაანადგურეს, არადა, ბოლოსწინა ადგილის მიუხედავად, „რეჯანას“ აქამდე სტუმრად დიდი ანგარიშით მხოლოდ ერთხელ წაეგო. მეორე წუთზე გატანილ რიციტელის გოლს 13 წუთში ბერნარდინიმ საჯარიმოთი დაამატა, მერე კი, 26-ე და 43-ე წუთებზე თავი აბედი პელემ ისახელა. მან ჯერ ბერნარდინის პასი გამოიყენა და თაური შეაგდო, მერე კი ბურთი თანაკლუბელ რიციტელის აართვა და სანამ ეს ხელებს შლიდა, ეს რალას მერჩოდაო, მეორე გოლი გაიტანა.

გიგა კობახიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 33 | 22 | 4 | 7 | 56-31 | 70 |
| პარმა | 33 | 18 | 9 | 6 | 51-30 | 63 |
| ლაციო | 33 | 18 | 6 | 9 | 68-34 | 60 |
| მილანი | 33 | 16 | 9 | 8 | 51-31 | 57 |
| რომა | 33 | 15 | 11 | 7 | 41-23 | 56 |
| ინტერი | 33 | 13 | 10 | 10 | 37-33 | 49 |
| კალიარი | 33 | 13 | 10 | 10 | 39-36 | 49 |
| ნაპოლი | 33 | 12 | 12 | 9 | 39-45 | 48 |
| სამპდორია | 33 | 12 | 11 | 10 | 49-36 | 47 |
| ფიორენტინა | 33 | 12 | 11 | 10 | 60-55 | 47 |
| ტორინო | 33 | 12 | 9 | 12 | 44-47 | 45 |
| ბარი | 33 | 12 | 8 | 13 | 39-41 | 44 |
| კრემონეზე | 33 | 11 | 8 | 14 | 33-33 | 41 |
| პადოვა | 33 | 12 | 4 | 17 | 36-56 | 40 |
| ჯენოა | 33 | 9 | 10 | 14 | 33-49 | 37 |
| ფოჯა | 33 | 8 | 9 | 16 | 31-49 | 33 |
| რეჯანა | 33 | 4 | 5 | 24 | 23-55 | 17 |
| ბრეშია | 33 | 2 | 6 | 25 | 18-64 | 12 |

ბომბარდირები

გაბრიელ ბატისტუტა (ფიორენტინა) — 25
ჯანფრანკო ძოლა (პარმა) — 19
აბელ ბალბო (რომა) — 19
რუჯერო რიციტელი (ტორინო) — 19
ჯუზეპე სინიორი (ლაციო) — 18
სანდრო ტოვალიერი (ბარი) — 17
ჯანლუკა ვიალი (იუვენტუსი) — 16
მარკო სიმონე (მილანი) — 16

დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „სერია B“-ში „პიაჩენცამ“ ზედა ლიგაში გასვლა გაინაღდა, დანარჩენი სამი ადგილის მაძიებელთა რიცხვი ხუთამდე შემცირდა, ერთ დროს პირველლიგელები „ლეჩე“ და „კომო“ კი მესამეში გავარდნენ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიაჩენცა | 36 | 18 | 14 | 4 | 54-26 | 68 |
| უდინეზე | 36 | 17 | 13 | 6 | 55-33 | 64 |
| ვიჩენცა | 36 | 15 | 17 | 4 | 44-22 | 62 |
| ატალანტა | 36 | 16 | 14 | 6 | 46-34 | 62 |
| სალერნიტანია | 36 | 16 | 12 | 8 | 55-37 | 60 |
| ანკონა | 36 | 15 | 10 | 11 | 49-44 | 55 |

# ესპანეთი

XXXV ტური. 27 მაისი. ბარსელონა — რეალი 1:0, ოვიედო — ალბასეტე 1:3, ლა კორუნია — ბეტისი 2:0, ვალენსია — რასინგი 1:1, ტენერიფე — სპორტინგი 3:0. 28 მაისი. სევილია — სელტა 2:3, ვალიადოლიდი — ლოგრონიესი 2:1, სოსიედადი — ატლეტიკო 5:0, ატლეტიკო — ესპანიოლი 3:1, სარაგოსა — კომპოსტელა 5:3

## ძირძველი დუელი

მიუხედავად იმისა, რომ „ბარსელონას“ ჩემპიონობის შანსი დაკარგული ჰქონდა, ძირძველ მეტოქეს რომ არაფერს დაუთმობდა, ცხადი იყო. თან პირველ წრეში მადრიდში 0:5 განადგურებისთვის კატალონიაში რევანშს ითხოვდნენ. კრუიფს შეიძლება ყველაფერი ეპატიოს, მაგრამ „რეალთან“ ხელმეორე წაგების შემთხვევაში, ალბათ, ვერც ის გადარჩებოდა, ამიტომაც ჰოლანდიელმა აქამდე შერისხული სტოიჩკოვიც კი დააბრუნა ძირითად შემადგენლობაში, თუმცა არც 18 წლის როჯერ გარსიას დაყენების მოერიდა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს შეტევაში სწორედ ის და საკუთარი შვილი წაახმარა. თამაშში მასპინძლებმა უფრო აქტიურად კი დაიწყეს, მაგრამ პირველი სახიფათო მომენტები ბუსკეტის კართან შეიქმნა — ამავისკას და იეროს დარტყმები ოდნავ უზუსტო გამოდგა. აქ ბარსელებიც დაფაცურდნენ და ბუიომ სტოიჩკოვისა და ბაკეროს ორი დარტყმა აიღო, მერე კი ჯორდი კრუიფსაც მიხედა და ამის თაური მოიგერია. ტაიმის ბოლომდე ბუსკეტმა კიდევ ორჯერ მოასწრო თავის გამოჩენა და სამორანოს ფეხით აუღო, რედონდოს კი, ტრადიციულად, ხელით.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე სტოიჩკოვმა ძელი შეაზანზარა — კრუიფის წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა „რეალისთვის“ ხიფათის მაუწყებელი პირველი ნიშანი იყო. მალე ესკურსამ, ვინც აქამდე ვერცერთი მცველის მოტყუება ვერ შეძლო, ერთბაშად ორი ჩამოიტოვა და ცარიელ კართან დარჩენილ როჯერს [illegible] ბურთი კარს ზემოთ გადააცილა. გამოცდილმა სტოიჩკოვმა, სხვას აუცილებლად ქოქოლას რომ დააყრიდა, დაინდო როჯერი და გაამხნევა კიდეც. თავად კი ხუთ წუთში კუთხური ჩაწოდა — ბურთი აბელარდოსა და იეროს აცდა და საჯარიმოში შევარდნილმა 28 წლის მიგელ ანხელ ნადალმა, რომელიც სიმაღლით (187 სმ) გუნდში ყველას ჯობს, თაურით გამარჯვების გოლი გაიტანა. დარჩენილ დროში მეტად გამორჩეული აღარაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით მოედნიდან ექს-ბარსელონელი დანიელის მიქაელ ლაუდრუპის გასვლას: ყოფილ კუმირს ბარსელონელმა მაყურებლებმა მთელი თამაში უსტვინეს, ზოგს კი ტრანსპარანტზე „ლაუდრუპ — იუდა!“ დაეწერა. გაუგებარია, რამ გამოიწვია ერთ დროს „ბარსას“ გმირის ასეთი ანტიპატია, მითუმეტეს, რომ დანიელი გუნდიდან თავისი ნებით როდი წავიდა... „ბარსელონა“: ბუსკეტი, ფერერი, აბელარდო, კუმანი, ნადალი, ბაკერო, ესკურსა, სტოიჩკოვი, კრუიფი (ამორი), როჯერი (სანჩეს ხარა), სერჯი. „რეალი“: ბუიო, კიკე, ლასა, იერო, რედონდო, სანჩისი, მარტინ ვასკესი, ლუის ენრიკე, სამორანო, ლაუდრუპი (რაული), ამავისკა.

მომავალ ტურში „რეალი“ ლა კორუნიელებს მასპინძლობს და თუ არ წააგო, ჩემპიონადაც გამოცხადდება, უეფას თასზე გამსვლელი სამი ადგილის მოპოვება კი ჯერჯერობით მხოლოდ იმავე „დეპორტივომ“ გაინაღდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 35 | 21 | 9 | 5 | 72-26 | 51 |
| ლა კორუნია | 35 | 18 | 11 | 6 | 53-28 | 47 |
| ბარსელონა | 35 | 16 | 10 | 9 | 54-43 | 42 |
| სარაგოსა | 35 | 18 | 6 | 11 | 54-46 | 42 |
| ბეტისი | 35 | 13 | 15 | 7 | 41-23 | 41 |
| სევილია | 35 | 15 | 10 | 10 | 51-37 | 40 |
| ესპანიოლი | 35 | 13 | 13 | 9 | 45-34 | 39 |
| ატლეტიკო | 35 | 14 | 10 | 11 | 37-40 | 38 |
| ოვიედო | 35 | 12 | 13 | 10 | 44-39 | 37 |
| სოსიედადი | 35 | 11 | 13 | 11 | 54-42 | 35 |
| ვალენსია | 35 | 12 | 11 | 12 | 47-40 | 35 |
| ტენერიფე | 35 | 13 | 8 | 14 | 55-52 | 34 |
| სელტა | 35 | 10 | 13 | 12 | 32-45 | 33 |
| ატლეტიკო | 35 | 12 | 8 | 15 | 51-50 | 32 |
| რასინგი | 35 | 10 | 10 | 15 | 37-46 | 30 |
| კომპოსტელა | 35 | 9 | 12 | 14 | 39-51 | 30 |
| ალბასეტე | 35 | 8 | 14 | 13 | 40-53 | 30 |
| სპორტინგი | 35 | 8 | 12 | 15 | 40-61 | 28 |
| ვალიადოლიდი | 35 | 7 | 9 | 19 | 22-60 | 23 |
| ლოგრონიესი | 35 | 2 | 9 | 24 | 14-67 | 13 |

# გერმანია

## ყველა იგებს, ის კი – არა

XXXII ტური. 26-28 მაისი. **კვირას მატჩამდე რვავე შეხვედრაში მასპინძლებმა იმარჯვეს, აქედან ოთხმა „არასტუმართმოყვარემ" ცხრილში მასზე მაღლა მყოფი დაამარცხა. კვირას კი დორტმუნდელებმა ვერ გამოიყენეს „შალკეს" მიერ მიცემული შანსი, თანაკლუბელებთან ქულა გაიყვეს და „ვერდერს" კვლავ ჩამორჩებიან, თუმცაკი ახლა მხოლოდ ერთი ქულით.**

### შალკე 4:2 ვერდერი

ლიდერმა მეორედ ხეზონში ოთხი ბურთი გაუშვა და ავსტრიელ ჰერცოგს მარის მიწურულს რომ არ ეყოჩალა, გამანადგურებელი ანგარიშითაც წააგებდა. „ვერდერის" კოშმარი მერვე წუთზე დაიწყო, როცა ინგო ანდერბრიუგემ მარცხნიდან დაარტყა, რეკს კი ბურთი იღლიაში გაუძვრა. მეორე გოლი 24-ე წუთზე ჰოლანდიელმა იური მულდერმა გაახერხა: მარცხნიდან საჯარიმოში შევიდა, ბოროვკა მოატყუა და დაარტყა – ბურთი ჯერ ვოტავას მოხვდა, მერე რეკს, ბოლოს კი კონს მიუვიდა და ამანაც არ დაახანა. ყველა ელოდა, რომ ლიდერი მეორე ტაიმში მაინც გამოიდებდა თავს, მაგრამ პირიქით მოხდა – მეორე წუთზევე კონმა კიდევ ერთი შეაგდო, 14 წუთში კი ჩეხმა ირჟი ნემეცმა მეოთხეც გაიტანა. „ვერდერმა" მაინც გაიბრძოლა – ჩემპიონატის ფინიშზე ბურთების სხვაობაც დასათვლელი რომ გახდესო – და ჰერცოგმა 81-ე და 82-ე წუთებზე სხვაობა ორი გოლით შეამცირა.

### დორტმუნდი 1:1 გლადბახი

იმდენი საგოლე მომენტი, რამდენიც მასპინძელ „ბორუსიას" ჰქონდა, მთელ ტურში არ ყოფილა, მაგრამ მასპინძლები მაინც მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. მარტო პირველ ტაიმში სტუმართა მეკარემ იბრაჰიმ ტანკოს ორი დარტყმა მოიგერია და ტრეჩოკის სამი (!) პირისპირ გასვლა გააუვნებელყო. მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე სტუმართა ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევა გოლით დასრულდა: ეფენბერგმა მარჯვნიდან ჩააწოდა, დალინის თაური კლოსმა მოიგერია, მაგრამ ჰერლიხმა დაამატა. დორტმუნდელები სულ გადაირივნენ და თითქმის მთელი გუნდით შეტევაზე გადავიდნენ, თუმცა ხეირს მაინც ვერ ნახავდნენ, 72-ე წუთზე ფრეინდის დარტყმული მცველს რომ არ მოხვედროდა და მიმართულებაშეცვლილი კარში არ აღმოჩენილიყო. დარჩენილ დროში სტუმრები ... მირებული ფახის გარეშე დარჩნენ და ვინაიდან ორივე შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდათ, ათი კაცით დაამთავრეს თამაში. გლადბახელები მეოთხე ყვითელი ბარათის გამო მომავალ ტურში „შტუტგარტთან" ჰაიკო ჰერლიხსაც მოისაკლისებენ.

### აინტრახტი 4:1 დუისბურგი

მასპინძლები ცხადაძის გარეშე და არატრადიციულ ლურჯ ფორმაში თამაშობდნენ და სეზონში მეორედ დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს. ყველაზე ლამაზი 53-ე წუთზე გატანილი მესამე გოლი იყო: 21 წლის მათიას ბეკერმა თავის ნახევრიდან იარა გზაზე სამი მცველი მოატყუა და მეკარეც სახტად დატოვა. აქამდე ბინცს (19) და ანიჩიჩს (32) ორი გოლი უკვე გატანილი ჰქონდათ და მართალია 82-ე წუთზე ლიონბემ სტუმართა კინკილა გოლი გააზერხა, ბოლო წუთზე კომლენოვიჩის პასით ოკოჩამ თავის გუნდს დიდი ანგარიშით გაამარჯვებინა.

### ლევერკუზენი 2:0 ბაიერნი

პირველ ტაიმში მიუნხენელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ ციკლერმა და ორჯერ ნერლინგერმა საგოლე მომენტები გააფუჭეს. ტაიმის ბოლო წუთზე კი გოლი მათ კარში გავიდა, თუმცა კი ამაში უპირველესი დამნაშავე მსაჯი გახლდათ: მარჯვენა ფრთაზე ლევერკუზენელი ჩეხი პაველ ჰაპალი უმიზეზოდ დაეცა, მაგრამ მსაჯმა რატომღაც ჰელმერი დააჯარიმა. აფერისტობამ გაჭრა და სწორედ ამ საჯარიმო ჩაწოდების შედეგად კირსტენმა თაურით ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმის შუაგულში სტუმრებმა გათანაბრების რეალური შანსი დაკარგეს, როცა საჯარიმოში შუსტერმა ხელით ითამაშა, მაგრამ ციგეს დარტყმული პენალტი მეკარემ მოიგერია. მასპინძლებმა კი ბოლო წუთზე კიდევ ერთი გოლი შეაგდეს: თავი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პაულო სერჯიომ გამოიჩინა.

### შტუტგარტი 1:0 ფრაიბურგი

მასპინძლებს სასტარტო შემადგენლობაში არც დუნგა ჰყავდათ და არც ელბერი, თუმცა უბრაზილიელობა არ დაიმჩნიეს და მესამე წუთზევე ბობიჩ-კრუზე-კიოგლის კომბინაცია გოლით დაასრულეს. სტუმრებს განსაკუთრებულად თავი არ გამოუდიათ, მითუმეტეს რომ მე-40 წუთზე მათმა ნახევარმცველმა ოლივერ ფრეინდმა გოლის ავტორს კიოგლს თმაზე მოქაჩა და თავისი გუნდი ათი კაცით დატოვა.

### ურდინგენი 2:1 ბოხუმი

54-ე წუთზე მასპინძელი მარკუს ფელდჰოფის პირველ გოლამდე დიდ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ ვერ იხეირეს და მართალია მერე, დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე პეტერ პეშელმა გაათანაბრა, გამარჯვება მაინც ურდინგენელებს დარჩათ: ბოლო წუთზე შეცვლაზე შესულმა რაინერ კრიგმა ივაჟკაცა.

### კარლსრუე 5:3 დინამო

არცერთ გუნდს ფსიქოლოგიური ზეწოლა არ აწუხებდა: „დინამო" უკვე გავარდა, „კარლსრუე" კი ინტერტოტოს თასზე გამოსვლის მეტს ხელს ვერაფერს გამოკრავს, ამიტომაც ლაღი თამაში გაჩაღდა. პირველი ორი გოლი სტუმრებმა გაიტანეს: ჯერ ექსტრიომმა (13), მერე კი ექსტრიომისვე პასით შპისმა (19). ექვს წუთში ანგარიში უკვე საყაიმო იყო – დრეზდენელმა მათიას მაუკშმა თავის კარში შეაგდო, მასპინძელმა შმიდტმა კი ამას იქვე კიდევ ერთი დაამატა. მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. 53-ე წუთზე შმიდტმა თაურით თავისი მეორე გოლი გაიტანა, მერე კი ორჯერ, 83-ე და 86-ე წუთებზე შეცვლაზე შესულმა შვეიცარელმა ადრიან კნუპმა ორჯერ აილო ჩერჩესოვის კარი. ალმოსავლეთ გერმანელები განადგურებას ფლორიან ვაიხერტის 89-ე წუთზე გატანილმა გოლმა გადაარჩინა.

### მიუნხენ 1860 2:1 კიოლნი

მიუნხენელებმა კვლავ ჩინებულად ითამაშეს და მხოლოდ ერთხელ, 84-ე წუთზე გაატანინეს სტუმრებს გოლი.

### კაიზერი 4:1 ჰამბურგი

ჰამბურგელები შიდა საკლუბო ინტრიგებში გახვეულან და სათამაშოდ აღარ ცხელათ. სტუმარი ბრაიტენრაიტერის კინკილა გოლს (19) მასპინძლებმა კუკას (4), კადლეცის (52), კუნცის (74) და ჰაბერის (89) ოთხით უპასუხეს. ამასთან ერთად ბრემემ მორიგი პენალტი გააფუჭა და ბურთი ძელს გაარტყა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 32 | 19 | 8 | 5 | 67-35 | 46 |
| დორტმუნდი | 32 | 18 | 9 | 5 | 62-31 | 45 |
| ფრაიბურგი | 32 | 18 | 6 | 8 | 63-43 | 42 |
| კაიზერსლაუტ. | 32 | 15 | 12 | 5 | 52-39 | 42 |
| გლადბახი | 32 | 16 | 9 | 7 | 61-37 | 41 |
| ბაიერნი | 32 | 13 | 13 | 6 | 51-40 | 39 |
| კარლსრუე | 32 | 11 | 13 | 8 | 48-43 | 35 |
| ლევერკუზენი | 32 | 13 | 8 | 11 | 57-46 | 34 |
| კიოლნი | 32 | 11 | 9 | 12 | 50-48 | 31 |
| შალკე | 32 | 10 | 11 | 11 | 46-47 | 31 |
| აინტრახტი | 32 | 11 | 9 | 12 | 37-45 | 31 |
| შტუტგარტი | 32 | 9 | 10 | 13 | 48-62 | 28 |
| ჰამბურგი | 32 | 9 | 9 | 14 | 40-47 | 27 |
| ტსვ მიუნხენი | 32 | 8 | 11 | 13 | 39-51 | 27 |
| ურდინგენი | 32 | 6 | 11 | 15 | 34-49 | 23 |
| დუისბურგი | 32 | 6 | 8 | 18 | 28-58 | 20 |
| ბოხუმი | 32 | 8 | 3 | 21 | 36-64 | 19 |
| დინამო | 32 | 4 | 7 | 21 | 31-65 | 15 |

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირმა დრეზდენის „დინამოს" პროფესიული სტატუსი ჩამოართვა და ბუნდესლიგიდან აძევებს. ჰონეკერის ყოფილ ფავორიტს 10 მილიონი მარკა ვალი ჰქონია. გაცოფებულმა გულშემატკივრებმა კლუბის პრეზიდენტი გალახეს. ვალების გამო მეორე ბუნდესლიგიდან „ზაარბრიუკენსაც" აქვეითებენ.

**არგენტინელ** დიეგო მარადონას დისკვალიფიკაციის ვადა გასდის. ამასწინათ მიცემულ ინტერვიუში, მან თავისი გასაჭირი აშშ-ის სპეცსამსახურს დააბრალა: შარშანდელ მსოფლიოს პირველობაზე, ნიგერიასთან მატჩის წინ ბოსტონის ეკლესიაში ზიარებისთვის შევედი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებმა ზიარების ჭურჭელში ეფედრინი იქ ჩამიყარესო. ამერიკელთა გაავების მიზეზად დიეგო მის ფიდელ კასტროსთან მეგობრობას ასახელებს. ვაშინგტონში სპორტსმენის ნათქვამი გაიკვირვეს და ბოდვად ჩათვალეს. დიეგოს მეორე პრობლემაც აქვს. ჟურნალისტებისთვის პნევმატური იარაღიდან სროლისთვის მას ციხე ემუქრება და, გეხსომებათ, საკანში ჯდომის ნაცვლად უფასო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის გაწევა ითხოვა. სასამართლოს თხოვნაზე უარი უთქვამს.

**ინგლისში** 15 თვე უქმად იყო გრემ სუნესი, რომელსაც გულის ოპერაციის შემდეგ ძალთა აღდგენა სჭირდებოდა. ფეხბურთელობისას სუნესმა „ლივერპულში" 247-ჯერ ითამაშა, 5-ჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონი, 4-ჯერ ლიგის თასის მფლობელი, 3-ჯერ კი ევროთასის მფლობელი გახდა. 1984 წელს „სამპდორიაში" გადავიდა. შოტლანდიის ნაკრებში მას 54 შეხვედრა აქვს ჩატარებული (უკანასკნელად 86-ში). მოთამაშის კარიერის შემდეგ მწვრთნელობას შეუდგა და „გლაზგო რეინჯერსი" სამჯერ ქვეყნის ჩემპიონი გახადა, 91 წელს კი ლივერპულს ჩაუდგა სათავეში და თასი აალებინა. ბოლოს ჭორიკანა გაზეთ „სანს" მისცა ინტერვიუ, სადაც „ჰილსბროს" სტადიონზე „შეფილდ უენსდეისა" და „ლივერპულის" მატჩზე მომხდარი ტრაგედიის შესახებ რაღაც უტაქტოდ თქვა და ხალხისგან შეირისხა. გამოჯანმრთელებული სუნესი „გალათასარაის" წვრთნას აპირებს. რაც შეეხება „ტოტენჰემის" რუმინელ მოთამაშეს გეორგე პოპესკუს, იგი ინგლისს ტოვებს და 3 მილიონ გირვანქად კუმანის ნაცვლად „ბარსელონაში" გადადის. ალბიონიდან იმასაც იტყობინებიან, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" მოთამაშეს პოლ ინსს, ფრანგი კანტონას მსგავსად, იმავე თამაშში, დაახლოებით ისეთივე ხულიგნობა ბრალდებოდა, თუმცა სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო. სამაგიეროდ, მათი კიდევ ერთი თანაგუნდელი როი კინი 5 ათასი გირვანქით დაჯარიმებას ვერ ასცდა. თასის ნახევარფინალში კინს მეტოქისთვის წიხლი ჩაურტყამს. „ბლექბერნი" კი ბედს ეწია – საგაისოდ ჩემპიონთა ლიგაში მას განთესვა არ ერგებოდა, მაგრამ უეფას მოწყალე თვალით შეუხედავს.

**საფრანგეთში** „სენტ-ეტიენს", „ბასტიას", „რენს" და „მონპელიეს" ვალები დაუგროვდათ, რის გამოც მომავალი სეზონისთვის ახალი მოთამაშეების ყიდვა აეკრძალათ. ვალებმა დაღუპა მარსელის „ოლიმპიკიც" რომელიც გაიყიდა. გუნდის ყიდვა ორ დაჯგუფებას სურდა, რომელთაგან საბოლოოდ, სასამართლოს ძალით ქალაქის მერის ვიგაროს კლანმა იმარჯვა. ვიგარო პოლიტიკაში კლუბის ყოფილი პატრონის ბერნარ ტაპის მტერი ყოფილა. „ოლიმპიკს" ჩემპიონატში რაგინდა რა ადგილი მოეპოვებინა, პირველ დივიზიონში ასვლის უფლება აყრილი ჰქონდა. ამან „სენტ-ეტიენს" უშველა, „სოშო" და „კაენი" კი გავარდნენ.

**შოტლანდიაში** „აბერდინმა" უძლიერესთა შორის ადგილი შეინარჩუნა – ქვედა ლიგელ „დანფერმლინ ატლეტიკს" ორივე თამაში 3:1 მოუგო და ისტორიის მანძილზე ლიგიდან გაუვარდნელის სახელი შეირჩინა. ქალაქ დანდის კი ზედა ეშელონში ერთი გუნდიც არ დარჩა, „დანდი იუნაიტედიც" ადრე გავარდნილ „დანდისთან" დაქვეითდა. თასის ფინალში კი „სელტიკმა" იყოჩაღა – 6 წელია, ერთი ტიტულიც არ მოეგო და ახლა „ეიდრი იუნაიტედის" 1:0 დამარცხებით თასის მფლობელი გახდა. ამ შეხვედრას 22 ათასამდე ადევნებდნენ თვალს. გოლი მე-9 წუთზე მაკინლის პასით ვან ჰუინდოკმა გაიტანა. დანკან ფერგიუსონი კი 3 თვით ციხეში ჩასვეს. „ევერტონის" ახლანდელ მოთამაშეს, შარშან „რეინჯერსში" ყოფნისას რეისროვერსელი ჯონ მაკსტეისთვის თავი განზრახ ჩაურტყამს. მოსამართლის გული ვერც ვექილის ამაღელვებელ სიტყვას მოულბია, რომელსაც მისთვის ფერგიუსონის ექვსი შვილი შეუცოდებია.

### ფეხბურთის რუკაზე



**ბელგიის** თასი „ბრიუგემ" მოიპოვა, რომელმაც ფინალში „ეკერნს" 3:1 მოუგო.

**ზაირში** მომაკვდინებელი იბოლას ვირუსი მძვინვარებს, რომელმაც 100-ზე მეტი კაცი უკვე შეიწირა. ასეთ პირობებში აფრიკის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა ზაირი – ზიმბაბვე, ცხადია, ვერ შედგება. სათამაშოდ არ ჩადიან თავად ზაირელი ლეგიონერები, რომლებიც შვეიცარიასა და თურქეთში გამოდიან. შინ ჩასვლა „საუთჰემპტონის" ცნობილ მეკარეს ბრუს გრობელაარსაც არ სურს, აქაოდა უკან ინგლისში აღარ შემიშვებენო.

**შვეიცარიაში** „გრასჰოპერსმა" „ბაზელს" მოუგო და ჩემპიონი გახდა.

**ავსტრალიის** ნაკრების მწვრთნელს ედი ტომსონს ფეხბურთელების გაყიდვიდან უკანონო წილის მითვისებას აბრალებენ. მაგალითად ნედ ზელიჩის დორტმუნდის „ბორუსიისთვის" მიყიდვა მოჰყავთ. საქმეს პარლამენტის კომისია იძიებს, მაგრამ სამხილები ჯერ ვერ უპოვნია.

**ბრაზილიაში** ჩხუბისთავი ედმუნდო 5 მილიონ დოლარად „პალმეირასიდან" გადავიდა „ფლამენგოში", რომელმაც „გრემიოს" 2:1 კი მოუგო, მაგრამ რომარიოს დაშავების ფასად. იგი 6 კვირა ვერ ითამაშებს.

**მალაიზიის**, სინგაპურის, ინდონეზიის და ტაილანდის წარმომადგენლები შევიდნენ აზიის ფეხბურთის კონფედერაციის მიერ ჩამოყალიბებულ კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტში, რომელსაც თავად კონფედერაციის პრეზიდენტი პიტერ ვილაპანი ხელმძღვანელობს. კომისიას ყველა საქმოსანი-მაფიოზი არათუ აღრიცხული ჰყოლია, არამედ მათი მეტსახელებიც სცოდნია.

**ხორვატიაში** არეულობა განახლდა, და უეფამ იქ ყველანაირი საერთაშორისო შეხვედრების ჩატარება აკრძალა.

**კანადაში** მორჩა სამთა ტურნირი, ბოლო ორ მატჩში კანადამ ჩრდილოეთ ირლანდიას 2:0 მოუგო, შემდეგ კი ჩილესთან 1:2 წააგო. ჩემპიონი ჩილე გახდა.

**იაპონიაში** ქირინის თასს დაეუფლა იაპონია, რომელმაც ჯერ შოტლანდიასთან ფრე 0:0 ითამაშა, შემდეგ კი ეკვადორს 3:0 მოუგო. შოტლანდიამ ეკვადორი მხოლოდ 2:1 დაამარცხა.

**სუდანს** აფრიკის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ალჟირთან მოგება წაგებად ჩაუთვალეს იმ მიზეზით, რომ იქაური ფეხბურთის შეფებს გაბონელი მსაჯებისთვის ბილეთები არ უყიდიათ, თამაში ერთი დღით გადადებულა და საბოლოოდ სხვებს უმსაჯიათ.

**ჰოლანდიაში** ვენიდან დაბრუნებულ ჩემპიონთა თასის მფლობელ „აიაქსს" ქალაქის მუზეუმში დიდი მიღება გაუმართეს. გმირებს 150 ათასი კაცი ესალმებოდა. მუზეუმის შემდეგ ფეხბურთელები ნავებით ამსტერდამის არხებში ასეირნეს. ქვეყნის თასს „ფეინოორდი" დაეუფლა, რომელმაც ფინალში „ვოლენდამს" 2:1 მოუგო. გადამწყვეტი გოლი ნიგერიელმა ობიკუმ გაიტანა. „აიაქსმა" კი ჩემპიონატი წაუგებლად ჩაამთავრა: 27 თამაში მოიგო, 7 კი ფრედ დაამთავრა. „როდა" და „ეინდჰოვენი" უეფას თასზე გავიდნენ.

**ევროპის** ჩემპიონატის მე-8 ქვეჯგუფში ფარერებმა სან-მარინოს 3:0 მოუგო.

### ჩემპიონთა თასი

ფინალი.
ვენა, 24 მაისი

**აიაქსი 1:0 მილანი**

აიაქსი (ამსტერდამი, ჰოლანდია): ვან დერ საარი, რაიციგერი, ბლინდი, რაიკაარდი, ფ. დე ბური, ზეედორფი (კანუ, 53), ფინიდი, დავიდსი, რ. დე ბური, ლიტმანენი (კლუივერტი, 69) ოვერმარსი

მილანი (იტალია): როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ბარეზი, დონადონი, დესაი, მასარო (ერანიო, 90), ბობანი (ლენტინი, 86) სიმონე

1:0 კლუივერტი (84)

გაფრთხილება: ოვერმარსი, ბლინდი

## ფეხბურთის ღმერთმა ასე ინება...

ჩემპიონთა ლიგის შექმნით ნაპრალი ძლიერ და სუსტ გუნდებს შორის უფსკრულად იქცა, ლიგის ფინალი კი საკლუბო ფეხბურთის მრავალთათვის თვალშეუდგამ, ლამის მითიურ მოვლენად, რომელსაც ოდენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ალემატებიან...

ამგვარი მატჩებისგან ყველა გამორჩეულსა და საგანგებოს ელის, ამ მოლოდინის გამართლება-არგამართლება კი, უპირველესად და უმეტესწილად მწვრთნელებზე ჰკიდია.

შარშანდელი ფინალის გმირი ფაბიო კაპელო „თავის" მეორე ფინალს ტრიუმფატორის პოზით კი შეხვდა, მაგრამ საათნახევრის შემდეგ ისეთივე გაბითურებული დატოვა იგი, როგორც ერთი წლის წინ მისგან ძლეულმა იოჰან კრიუფმა. დაფნის გვირგვინი კი ლუის ვან გალს ერგო – ახალგაზრდა მწვრთნელ-ვუნდერკინდს, შუა თამაშში სარბენ ბილიკზე იმგვარი ილეთის გაკეთება რომ ძალუძს, იქნებ ბევრ მოთამაშესაც შეშურდეს. ევროპის გრანდთა მთავარი შეჯიბრის ფინალში აქამდე არ ყოფილა შემთხვევა, მწვრთნელს შემცვლელებად 17 და 18 წლის ფეხბურთელები გამოეშვას, ვან გალმა კი გარისკა, ენდო ახალგაზრდებს, არ უღალატა „აიაქსისთვის" ჩვეულ შემტევ სტილს და აკი გაუმართლა კიდეც. „აიაქსის" გამარჯვება, ვფიქრობ, უფრო სასარგებლო უნდა იყოს ევროპული ფეხბურთისთვის, რადგან ჩემპიონთა თასის მფლობელი ის გუნდია, ერთი წელი ყველა რიდით რომ უყურებს და მისგან ბევრის გადმოღებას ცდილობს. „აიაქსთან" კი კარგის მეტი რა უნდა გადმოიღო – ახალგაზრდების სიჭარბე, რომელთაგან უმეტესობა „აიაქსისვე" სკოლის აღზრდილია, გუნდი, რომელიც შემტევ ფეხბურთს, ისეთს, რომლის წინაშე თვით „მილანის" კარგად გაზეთილი და აწყობილი მანქანაც კი უძლური აღმოჩნდა. რამდენს არ ეცადა „მილანი" „აიაქსის" მოგუდვას მახრჩობელა გველივით, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ეგ იყო, მხოლოდ გაბრუა პირველ ტაიმში. მეორე ტაიმში ახალგაზრდა აიაქსელებმა თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და ბოლოსდაბოლოს საწადელსაც მიაღწიეს. ჰოლანდიელთა ლაღ თამაშთან შედარებით იტალიელთა გამოზომილი და დაპროგრამებული მოქმედება ისეთივე ძველმოდური და ყავლგასული ჩანდა, როგორც მალდინის, სიმონეს, დონადონის, ალბერტინის და სხვა მილანელთა გრძელი თმები ზეედორფის, კანუს, ოვერმარსის, კლუივერტის და სხვა აიაქსელთა თანამედროვე ვარცხნილობასთან.

70-იანი წლების დასაწყისის აიაქსელთა გამოჩენამ შემდგომში ტოტალურად წოდებულ ფეხბურთს ჩაუყარა საფუძველი ევროპასა და მსოფლიოში. დაიკისრებს თუ არა ამ მისიას დღევანდელი „აიაქსი" მომავალი გვიჩვენებს. სადღეისოდ კი ერთია ცხადი: „მილანის" ასეთ დაჩაგვრას, ამათ რომ შეძლეს, ვერავინ წარმოიდგენდა – ზედიზედ სამი გამარჯვება, თანაც სამივე ერთ ტურნირში და სამივე მშრალი ანგარიშით. – სტუმრადაც და ნეიტრალურ მინდორზეც, შინაც, თურმე შესაძლებელი ყოფილა „მილანის" შეტევით დამარცხება, ის, რაც ვერ შეძლეს „ბარსელონამ", „პარი სენ ჟერმენმა" და ევროპის სხვა წამყვანმა კლუბებმა.

აიაქსელთა გოლი კი მართლაც იმსახურებს წვრილად აღწერას: მატჩის დამთავრებამდე ხუთიოდ წუთით ადრე რაიკაარდმა მარცხენა ფრთიდან ზედ საჯარიმოს წინ, ცენტრში მისცა პასი იტალიელებით გარშემორტყმულ კლუივერტს, ამანაც ბობანსა და ბარეზის შორის შეიგდო ბურთი და შეჰყვა, ალბერტინიმ კი, იმის ნაცვლად, რომ ბობანი დაეზღვია, საჯარიმოდან ამოიწია: ხელოვნური თამაშგარეს შექმნას თუ ცდილობდა. ეს ელემენტარული შეცდომა საბედისწერო გამოდგა იტალიელთათვის, რადგან ბობანმა კლუივერტთან ჭიდილში ვერა გააწყო რა, მან კი თითქმის წაქცეულმა მარცხენა ჭვინტი წაჰკრა ბურთს, რომელმაც კარიდან უხეიროდ გამოსული როსისა და მარცხენა ძელს შორის გაიარა. დაბნეულმა კაპელომ ახლაღა იკადრა საათნახევრის განმავლობაში უქმად მდგარი მასაროს და უსარგებლო ბობანის გამოცვლა, მაგრამ ორიოდ წუთით გამოსული ერანიო და ლენტინი ჯადოქრები ხომ არ იყვნენ, სასწაული მოეხდინათ. ჰოლანდიელებმა არც ბურთის მიტაცება იკადრეს – ოვერმარსმა იგი ძლიერი დარტყმით მაყურებლებს შესწირა...

მილანელთა ქომაგებს უთუოდ ექნებათ სათქმელი: „აი, სავიჩევიჩი რომ ყოფილიყო..." ვეთანხმები, სავიჩევიჩი რომ ყოფილიყო, „მილანი" ალბათ ... აგებდა, მაგრამ ფეხბურთის ღმერთმა ასე ინება, მილანელები იმ დღეს შეტევის გარეშე დატოვა და ამათი ნაქები დაცვა შემტევ მეტოქეს აძლევინა.

მამუკა კვარაცხელია

## გავრილ კაჩალინი

ჩვენი თასის ფინალი ახალი დაწყებული იყო, მსაჯმა თამაში შეაჩერა. მოთამაშეებიც ადგილზე გახევდნენ. მაყურებელმა კი იაზრა, წუთიერი დუმილიაო და უმალ წამოიშალა, მაგრამ ბევრმა არ იცოდა და, ვინ მოკვდაო, კითხულობდა. გავრილ კაჩალინი გარდაიცვალაო, გვაუწყა დიქტორმა. გიჟებს რა დაგვილევს და, შუა დუმილში, ხმაზე ეტყობოდა, ვიღაც ბიჭ-ბუჭამ და ტლუმ, უშნოდ წამოიკივლა. პატივმისაგებელი წუთი რომ ჩათავდა, იმ როყიომ და შეუსმენელმა წამოძახილითვე მწარე და საკადრისი პასუხი მიიღო. გამპასუხებლებს რომ გავხედე, მეცნო და მენიშნა – ქართველ გულშემატკივართა უფროსი თაობისანი იყვნენ, იმ თაობისა, კაჩალინმა პირველი და დაუვიწყარი დიდი სიხარული – ტაშკენტის ოქრო რომ აჩუქა. მარტო ამათ არა, ცხადია – მაშინ ხომ მთელმა საქართველომ, დიდიან-პატარიანად, ქალიან-კაციანად უზომოდ გაიხარა. მერეც იყო საკავშირო ჩემპიონობა, თასებიც, თვით დიუსელდორფი, მაგრამ იმხანად ეს ყველაფერი ჩვენთვის ის იყო. ამიტომაც დაუკავშირდა სამუდამოდ ამ რუსი მწვრთნელის სახელი ქართული ფეხბურთის ისტორიას. ქართველი კაცი მუდამ მადლიერი მოიგონებს ამ წესიერ, ინტელიგენტ, უწყინარ და მიმტევებელ ადამიანს, რომელმაც ჩვენი ფეხბურთის ბრწყინვალე დასს – 60-იანი წლების თბილისის „დინამოს", მთლიანად ქართულ ფეხბურთს პირველი დიდი გამარჯვება აგემა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| ბოლო ორი მატჩის შედეგი: h - შინ, a - სტუმრად | | 1 | X | 2 | I ნრე | 1993-1994 შინ/სტ | 1992-1993 შინ/სტ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. 34-ე ტური. 4 ივნისი** | | | | | | | |
| **BARI -** | **SAMPDORIA** | 3,2 | 2,8 | 1,6 | 1-1 | -/- | -/- |
| a 1-0 Milan | h 2-2 Inter | | | | | | |
| h 2-2 Roma | a 0-1 Lazio | | | | | | |
| **CREMONESE -** | **ROMA** | 3,4 | 2,7 | 1,6 | 1-1 | 1-1/2-1 | -/- |
| a 2-1Brescia | h 3-0 Juventus | | | | | | |
| h 3-0 Padova | a 2-2 Bari | | | | | | |
| **FIORENTINA -** | **MILAN** | 2,2 | 2,6 | 2,2 | 0-2 | -/- | 3-7/0-2 |
| a 0-3 Parma | h 0-1 Bari | | | | | | |
| h 6-3 Torino | a 0-1 Napoli | | | | | | |
| **REGGIANA -** | **FOGGIA** | 1,6 | 2,8 | 3,2 | 0-1 | 0-0/0-1 | -/- |
| a 0-4 Torino | h 0-1 Lazio | | | | | | |
| h 2-0 Brescia | a 0-3 Genoa | | | | | | |
| **GENOA -** | **TORINO** | 1,1 | 3,6 | 6,0 | 0-0 | 1-1/0-2 | 2-1/1-1 |
| a 1-1 Padova | h 4-0 Reggiana | | | | | | |
| h 3-0 Foggia | h 3-6 Fiorentina | | | | | | |
| **INTER -** | **PADOVA** | 1,3 | 2,6 | 6,5 | 0-1 | -/- | -/- |
| a 2-2 Sampdoria | h 1-1 Genoa | | | | | | |
| h 1-2 Cagliari | a 0-3 Cremonese | | | | | | |
| **JUVENTUS -** | **CAGLIARI** | 1,3 | 3,4 | 4,2 | 0-3 | 1-1/1-0 | 2-1/0-0 |
| a 0-3 Roma | h 0-1Napoli | | | | | | |
| h 4-0 Parma | a 2-1 Inter | | | | | | |
| **LAZIO -** | **BRESCIA** | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-0 | -/- | 2-0/0-2 |
| a 1-0 Foggia | h 1-2 Cremonese | | | | | | |
| h 1-0 Sampdoria | a 0-2 Reggiana | | | | | | |
| **NAPOLI -** | **RARMA** | 1,2 | 3,8 | 4,7 | 0-2 | 2-0/3-1 | 1-1/1-1 |
| a 1-0 Cagliari | h 3-0 Fiorentina | | | | | | |
| h 1-0 Milan | a 0-4 Juventus | | | | | | |
| **ესპანეთი. 36-ე ტური. 3-4 ივნისი** | | | | | | | |
| **ZARAGOZA -** | **SEVILLA** | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-2 | 1-2/1-0 | 2-1/0-1 |
| h 5-3 Compostela | h 2-3 Celta | | | | | | |
| a 0-2 Espanol | a 4-0 Compostela | | | | | | |
| **COMPOSTELA -** | **ATLETICO** | 1,8 | 2,6 | 2,8 | 1-1 | -/- | -/- |
| a 3-5 Zaragoza | h 3-1 Espanol | | | | | | |
| h 0-4 Sevilla | a 0-0 Racing | | | | | | |
| **ESPANOL -** | **VALENCIA** | 1,3 | 3,0 | 5,0 | 0-0 | -/- | 1-1/0-2 |
| a 1-3 Atletico | h 1-1 Racing | | | | | | |
| h 2-0 Zaragoza | a 0-1 Sporting | | | | | | |
| **RACING -** | **TENERIFE** | 1,4 | 2,8 | 4,4 | 0-3 | 1-0/0-1 | -/- |
| a 1-1 Valencia | h 3-0 Sporting | | | | | | |
| h 0-0 Atletico | a 2-3 Athletic | | | | | | |
| **SPORTING -** | **R. SOCIEDAD** | 1,4 | 2,8 | 4,4 | 2-2 | 3-2/1-0 | 2-4/2-1 |
| a 0-3 Tenerife | h 5-0 Athletic | | | | | | |
| h 1-0 Valencia | a 1-0 Albacete | | | | | | |
| **ATHLETIC -** | **OVIEDO** | 1,4 | 2,8 | 4,4 | 1-1 | 1-1/0-3 | 1-0/0-1 |
| a 0-5 Sociedad | h 1-3 Albacete | | | | | | |
| h 3-2 Tenerife | a 2-0 Logrones | | | | | | |
| **ALBACETE -** | **VALLADOLID** | 1,1 | 3,2 | 8,0 | 1-1 | 1-1/0-1 | -/- |
| a 3-1 Oviedo | h 2-1 Logrones | | | | | | |
| h 0-1 Sociedad | a 0-1 Real | | | | | | |
| **LOGRONES -** | **BARCELONA** | 6,0 | 3,6 | 1,1 | 0-3 | 0-0/2-2 | 1-2/0-3 |
| a 1-2 Valladolid | h 1-0 Real | | | | | | |
| h 0-2 Oviedo | a 1-1 Betis | | | | | | |
| **BETIS -** | **CELTA** | 1,3 | 2,7 | 6,0 | 2-0 | -/- | -/- |
| a 0-2 Deportivo | a 3-2 Sevilla | | | | | | |
| h 1-1 Barcelona | h 0-2 Deportivo | | | | | | |
| **REAL -** | **DEPORTIVO** | 1,6 | 2,5 | 3,8 | 0-0 | 2-0/0-4 | 2-1/2-3 |
| a 0-1 Barcelona | h 2-0 Betis | | | | | | |
| h 1-0 Valladolid | a 2-0 Celta | | | | | | |

### ევროპის ჩემპიონატი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.06 | შვედეთი—ისლანდია (0:3) | 1,8 | 4,0 | 2,0 | | ბულგარეთი—გერმანია | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| 03.06 | პორტუგალია—ლატვია (0:4) | 1,9 | 4,0 | 1,9 | | მოლდოვა—ალბანეთი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| | ლიხტენშტეინი—ირლანდია (4:0) | 2,0 | 4,0 | 1,8 | | ფარერები—შოტლანდია (3:0) | 2,0 | 4,0 | 1,8 |
| 07.06 | პოლონეთი—სლოვაკეთი | 1,4 | 2,8 | 4,4 | | სან მარინო—რუსეთი (3:0) | 2,0 | 4,0 | 1,8 |
| | რუმინეთი—ისრაელი | 1,2 | 2,9 | 7,0 | 11.06 | ისლანდია—უნგრეთი | 3,6 | 2,6 | 1,6 |
| | მაკედონია—ბელგია | 3,2 | 2,8 | 1,6 | | ესტონეთი—სლოვენია | 6,5 | 3,0 | 1,2 |
| | დანია—კვიპროსი (0:3) | 2,0 | 4,0 | 1,8 | | უკრაინა—ხორვატია | 4,0 | 2,7 | 1,5 |
| | ესპანეთი—სომხეთი (0:3) | 1,8 | 4,0 | 2,0 | | ირლანდია—ავსტრია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| | ლიტვა—სლოვენია | 1,5 | 2,7 | 4,0 | | ჩინეთი—საბერძნეთი | 4,0 | 2,7 | 1,5 |
| | ბელარუსი—ჰოლანდია (2:0) | 2,0 | 4,0 | 1,8 | | | | | |
| | ლუქსემბურგი—ჩეხეთი (3:0) | 1,8 | 4,0 | 2,0 | | | | | |
| | ნორვეგია—მალტა (0:4) | 1,8 | 4,0 | 2,0 | | | | | |
| | ჩრდ. ირლანდია—ლატვია | 1,1 | 3,0 | 10,0 | | | | | |

უელსი — საქართველოს თამაშზე ფსონები მიიღება მხოლოდ ანგარიშის გამოცნობაზე კოეფიციენტით 4,0

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | AS BARI | ■ | 3-0 | 0-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 | 4-1 | | 3-5 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 1-2 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 3-1 | 0-2 |
| 2 | AC BRESCIA | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-4 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 0-5 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 1-2 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 1-4 | 1-1 |
| 3 | US CAGLIARI | 2-1 | 2-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-0 | 4-2 | 0-1 | 1-1 | 1-0 | 3-0 |
| 4 | US CREMONESE | 0-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 0-0 | 1-3 | 4-1 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 2-1 | | 0-0 | 3-0 | 1-2 |
| 5 | AC FIORENTINA | 2-0 | 4-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 3-1 | 2-2 | | 2-2 | 4-0 | 4-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 6-3 | 1-4 |
| 6 | AC FOGGIA | 2-2 | 3-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | ■ | 2-1 | 1-1 | 1-3 | 0-0 | 1-1 | 4-1 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 3-1 | 0-2 | 2-0 |
| 7 | FC GENOA | 1-1 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 3-0 | ■ | 2-1 | 1-1 | 2-1 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 1-2 | | 2-4 |
| 8 | SAMPDORIA | 1-1 | 2-1 | 5-0 | 2-1 | 2-2 | 1-1 | 3-2 | ■ | 0-3 | 2-2 | 0-0 | 5-0 | 3-1 | 2-1 | 3-0 | 3-1 | 1-1 | 0-1 |
| 9 | AC MILAN | 0-1 | 1-0 | 1-1 | 3-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 0-0 | ■ | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 5-1 | 0-2 |
| 10 | INTER MILANO | 1-2 | 1-0 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 3-0 | 2-0 | 2-0 | 3-1 | ■ | 0-2 | | 1-1 | 1-0 | 0-1 | 0-2 | 2-1 | 0-0 |
| 11 | SSC NAPOLI | 3-0 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 2-5 | 2-1 | 1-0 | 2-0 | 1-0 | 1-3 | ■ | 3-3 | | 1-0 | 0-0 | 3-2 | 1-1 | 0-2 |
| 12 | AC PADOVA | 0-2 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 0-1 | 0-0 | 1-1 | 1-4 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-3 | 3-0 | 0-0 | 2-0 | 4-2 | 1-2 |
| 13 | AC PARMA | 1-0 | 4-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 2-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-3 |
| 14 | AC REGGIANA | 0-1 | 2-0 | 0-0 | 2-0 | 1-1 | | 0-1 | 0-2 | 0-4 | 0-1 | 1-2 | 3-0 | 2-2 | ■ | 1-4 | 0-0 | 1-0 | 1-2 |
| 15 | AS ROMA | 2-0 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 1-0 | 0-0 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | 2-0 | ■ | 0-2 | 1-1 | 3-0 |
| 16 | LAZIO ROMA | 1-2 | | 0-0 | 1-0 | 8-2 | 7-1 | 4-0 | 1-0 | 4-0 | 4-1 | 5-1 | 5-1 | 2-2 | 2-0 | 0-3 | ■ | 3-0 | 3-4 |
| 17 | AC TORINO | 2-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 0-2 | 4-0 | 2-2 | 2-0 | ■ | 3-2 |
| 18 | JUVENTUS TORINO | 2-0 | 2-1 | | 1-0 | 3-2 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 4-0 | 3-1 | 3-0 | 0-3 | 1-2 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 1-1 | 2-2 | 1-2 | 1-3 | 1-2 | | 0-0 | 2-2 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 0-3 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | | 1-1 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 5-1 | ■ | 0-0 | 3-1 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 4-2 | 2-0 | 2-0 | | 0-0 | 2-2 | 0-0 | | 3-0 | 0-0 |
| 3 | FC BARCELONA | | 3-0 | ■ | 1-0 | 4-0 | 3-1 | 1-1 | 3-0 | 4-3 | 1-0 | 1-0 | 2-1 | 3-0 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 1-0 | 0-0 | 4-1 | 1-1 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 1-2 | 1-3 | | ■ | 1-0 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 3-1 | 1-1 | | 2-0 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 0-2 | 3-2 | 2-1 | 1-1 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 0-0 | 1-1 | 1-2 | 0-1 | ■ | 3-2 | 0-1 | 2-0 | | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-2 | 0-2 | 1-1 | 0-4 | | 1-1 | 1-0 | 2-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-2 | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 | 2-2 | 0-2 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 1-3 | | 1-1 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | 0-0 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 2-1 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | | 0-1 | 0-0 | 2-2 | 3-0 | 3-3 | 3-1 | 2-0 | 5-1 | 4-1 | 3-1 | 4-0 | 1-2 |
| 8 | CD LOGROÑES | 1-1 | 1-1 | | 0-1 | 0-4 | 1-3 | 0-1 | ■ | 0-0 | 1-4 | 0-2 | 0-1 | 0-0 | 0-4 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 2-2 | 0-0 | |
| 9 | ATLETICO DE MADRID | 4-0 | 3-1 | 2-0 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | ■ | 0-2 | 3-3 | 0-1 | | 2-1 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 2-4 | 6-0 | 0-2 |
| 10 | REAL MADRID CF | 0-0 | 1-0 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 4-0 | | 2-0 | 4-2 | ■ | 2-0 | 3-1 | 3-0 | 0-0 | | 2-0 | 4-2 | 3-1 | 1-0 | 4-0 |
| 11 | REAL OVIEDO | 1-3 | 3-0 | 0-0 | 1-1 | 2-2 | | 2-0 | 1-0 | 1-0 | 3-2 | ■ | 3-1 | 2-1 | 3-0 | 0-0 | 1-0 | 1-2 | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 12 | RACING SANTANDER | 2-1 | 0-0 | 5-1 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 3-1 | | ■ | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | | 3-2 | 0-0 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-4 | 5-3 | 3-2 | 1-0 | 3-0 | 3-1 | 3-2 | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 | 3-0 | | 2-2 | | 1-0 | 4-0 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 2-0 | 2-0 | 1-1 | 5-0 | 1-1 | 2-2 | 1-3 | 6-0 | 3-1 | 1-1 | 3-1 | | 1-2 | ■ | 1-1 | 0-0 | 5-2 | 0-2 | 3-0 | 2-3 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 4-1 | 3-1 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 5-0 | 0-0 | 1-0 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | ■ | | 3-0 | 1-1 | 1-2 | |
| 16 | SEVILLA FC | 0-2 | 3-0 | 4-2 | 0-0 | 3-0 | 5-1 | 0-0 | 1-0 | | 1-4 | 1-1 | 1-3 | 2-1 | 2-0 | 0-1 | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 2-3 |
| 17 | CD TENERIFE | 2-2 | | 2-1 | 1-0 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 4-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | 3-0 | 1-4 | 0-0 | ■ | 1-2 | 0-0 | 3-0 |
| 18 | VALENCIA CF | 3-3 | 0-0 | 1-2 | 3-1 | | 0-0 | 1-2 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 2-1 | 0-1 | 2-1 | ■ | 3-0 | 1-0 |
| 19 | REAL VALLADOLID | 1-1 | 0-4 | 1-3 | | 2-0 | 2-0 | 0-0 | 2-1 | 0-1 | 0-5 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 0-4 | 1-4 | 2-0 | ■ | 1-1 |
| 20 | RC CELTA VIGO | 0-0 | 1-2 | 2-4 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | | 0-0 | 2-1 | 0-0 | 2-1 | 0-2 | 0-0 | 3-2 | 0-0 | 1-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | VfL BOCHUM | ■ | 1-3 | 0-2 | 2-0 | 1-0 | 0-1 | 1-3 | 0-0 | 0-2 | 0-1 | 1-0 | 1-3 | 0-2 | 1-2 | 2-2 | | 4-0 | 2-2 |
| 2 | SV WERDER BREMEN | 3-0 | ■ | 3-1 | 1-0 | 5-1 | 2-0 | 5-1 | 1-4 | 2-2 | | 2-2 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 4-0 | 6-1 |
| 3 | BORUSSIA DORTMUND | 3-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 1-0 | 1-1 | 1-1 | | 2-1 | 2-1 | 2-1 | 0-3 | 1-1 | 1-0 | 4-0 | 3-2 | 5-0 | 3-1 |
| 4 | 1. FC DYNAMO DRESDEN | 0-2 | 1-1 | 0-1 | ■ | 4-2 | 1-2 | 1-3 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-3 | | 1-1 | 2-1 | 1-1 | 1-2 |
| 5 | MSV DUISBURG | 3-1 | 0-2 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-2 | 0-5 | 3-2 | 0-0 | 1-3 | 0-2 | 0-2 | 0-3 | 1-1 | 2-2 | 2-0 | 2-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 2-1 | 0-0 | 4-1 | 2-0 | 4-1 | ■ | 1-2 | 2-0 | 1-3 | 1-0 | 0-0 | 2-0 | 2-1 | 2-0 | | 0-3 | 2-2 | 0-3 |
| 7 | SC FREIBURG | 1-2 | 1-3 | 1-1 | 3-1 | 3-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 4-1 | 2-1 | 4-2 | 1-1 | 1-1 | 5-1 | 1-1 | 3-0 | 2-0 | |
| 8 | HAMBURGER SV | 3-1 | 0-0 | 0-4 | 2-1 | 3-0 | | 1-2 | ■ | 0-0 | 3-1 | 0-4 | 1-2 | 1-2 | 1-1 | 3-0 | 3-0 | 0-2 | 0-0 |
| 9 | 1. FC KAISERSLAUTERN | 3-1 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 1-0 | 1-1 | 3-2 | 4-1 | ■ | 0-0 | | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-2 | 1-1 |
| 10 | KARLSRUHER SC | | 3-1 | 0-0 | 5-3 | 4-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 3-3 | ■ | 0-0 | 2-4 | 2-4 | 2-2 | 3-1 | 2-2 | 3-1 | 2-1 |
| 11 | 1. FC KÖLN | 2-1 | 1-1 | 1-6 | 1-2 | 0-3 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 0-1 | 3-4 | ■ | | 1-3 | 3-1 | 2-1 | 5-1 | 1-0 | 2-0 |
| 12 | BAYER 04 LEVERKUSEN | 1-3 | 1-2 | 2-2 | | 2-0 | 4-0 | 2-4 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | ■ | 3-1 | 2-0 | 0-2 | 2-2 | 3-1 | 1-1 |
| 13 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 7-1 | 2-0 | 3-3 | 2-0 | 1-0 | 2-0 | 1-2 | 2-1 | 4-0 | 2-2 | 0-0 | 3-3 | ■ | 2-2 | 2-0 | 0-1 | | 1-0 |
| 14 | FC BAYERN MÜNCHEN | 3-1 | | 2-1 | 2-1 | 1-1 | 3-3 | 2-2 | 1-1 | 1-1 | 0-1 | 2-2 | 2-1 | 3-0 | ■ | 1-0 | 2-0 | 2-2 | 2-1 |
| 15 | TSV 1860 MÜNCHEN | 4-0 | 1-2 | 1-5 | 3-1 | 1-1 | 2-1 | 4-0 | 1-1 | | 1-0 | 2-1 | 1-1 | 2-0 | 1-3 | ■ | 0-1 | 0-2 | 1-1 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 3-2 | 4-2 | 0-0 | 4-0 | 0-0 | 0-0 | | 0-1 | 0-1 | 0-0 | 3-1 | 3-2 | 1-1 | 0-3 | 6-2 | ■ | 1-1 | 2-0 |
| 17 | VfB STUTTGART | 2-2 | 1-4 | 0-0 | 4-2 | | 4-1 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 4-0 | 2-2 | 4-2 | 2-4 | 0-2 | 1-1 | 1-1 | ■ | 3-1 |
| 18 | BAYER 05 UERDINGEN | 2-1 | 1-3 | 0-2 | 3-1 | 1-1 | 1-1 | 0-2 | 4-1 | 1-3 | 0-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | 1-1 | 1-1 | 4-1 | ■ |

პრ030

# კანდელაკს არავისი ეშინია

**რამდენნი იყვნენ და რისი გაკეთება შეძლეს ჩვენმა მოკრივეებმა მაისის დამდეგს ბერლინში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, ამაზე „მშრალად" უკვე გაუწყეთ. დღეს უფრო დაწვრილებით და დაზუსტებით შეგატყობინებთ, რა და როგორ იყო ის, რაც უპირველესად აინტერესებს ქართველ გულშემატკივარს. თავიდანვე, რა თქმა უნდა, იმაზე, რატომ არ იბრძოლა მეოთხედფინალში გასულმა გიორგი კანდელაკმა კუბელ ფელიქს სავონთან: რა იყო მიზეზი — შიში თუ სხვა რამ? გვესაუბრება საქართველოს მოკრივეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ გუნია.**

– შიშზე ლაპარაკი სავსებით უსაფუძვლოა. დასტურად შარშანდელი მსოფლიო თასის ნახევარფინალს გაგახსენებთ: მაშინ კანდელაკი სავონს 5 რაუნდი ეჩხუბა. ეს კუბელი რომ ძალიან ძლიერი მოკრივეა და ბრძოლების უმეტესობას ნოკაუტებით იგებს, რა ჩემი შეხსენება გინდათ, გიორგი კი ასე ვერ დაჯაბნა და მხოლოდ ქულებით შეძლო გამარჯვება. წელს კი მოულოდნელი და სამწუხარო შემთხვევა მოხდა – პირველ ბრძოლაში კანდელაკმა ლიტველი იონას დამბრაუსკასი კი გალახა, მაგრამ თავადაც დაშავდა: ნეკნებს შორის სისხლი ჩაუდგა. რენტგენოგრამა რომ ვნახეთ, მივხვდით, მისთვის ეს ჩემპიონატი დამთავრებული იყო.

**— სანამ ჩემპიონატზე საუბარს გავაგრძელებდეთ, ერთი უნდა გკითხოთ: ჩვენი სპორტი ახლა ისეთ დღეშია, რომელიმე დიდი შეჯიბრების წინ მავანთ თუ შეკრება გამართეს, მოსალოცად აქვთ საქმე. თქვენ რა მოახერხეთ?**

– საქართველოში შეკრების მოწყობა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ სპორტდეპარტამენტის დახმარებით ჯერ უკრაინაში, ქალაქ ალუშტაში ვივარჯიშეთ ათი დღე, შემდეგ კი რუსეთის ნაკრებთან ერთად პოდოლსკში.

**— ჩვენების გამოსვლას მივუბრუნდეთ...**

– ბესიკ ვარძელაშვილი და ილია ტლაშაძე ახალგაზრდები არიან, უფროსთა რინგზე ახლალა გადმოინაცვლეს და იმის იმედი, საპრიზო ადგილებს დაიკავებენო, ფაქტიურად, არც გვქონდა. ამ ნიჭიერი და პერსპექტიული მოკრივეებისთვის ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატი დიდი სკოლა იყო. ვარძელაშვილმა შვედ მიქაელ იკვალოს დამაჯერებლად, 10:5 მოუგო, შემდეგ კი, მეოთხედფინალში ევროპის 1993 წლის ჩემპიონ თურქ ნურხან სულეიმანოღლუსთან დამარცხდა. ტლაშაძეს პირველი ორთაბრძოლისას ცხვირიდან სისხლი წასკდა და ექიმების მოთხოვნით ბრძოლა აღარ გაუგრძელებია. თელაველი მამუკა ხუტუაშვილი ევროპის შარშანწინდელმა ჩემპიონმა ლიტველმა ვიტალიუს კარპასიუსკასმა გამოთიშა შეჯიბრებიდან. იმედებს ძირითადად კანდელაკსა და კობა გოგოლაძეზე ვამყარებდით. გიორგიზე უკვე მოგახსენეთ, კობამ კი იმედები არ გაგვიმართლა – აფხაზეთიდან წასულ გაბერძნებულ სომეხ ტიგრან უზლიანთან წააგო.

**— რუსეთის ნაკრებში რამაზ ფალიანი და პაატა გვასალიაც იყვნენ...**

– პირველად მათ პოდოლსკში შევხვდი. ორივე ძალიან კარგ ფორმაში იყო და, ჩემი აზრით, საპრიზო ადგილებიც უნდა დაეკავებინათ, მაგრამ მხოლოდ მეოთხედფინალს მიაღწიეს. ფალიანმა მაროკოელს და მონღოლს კი აჯობა, მაგრამ გერმანელ ფალკ პუსტეს ვერაფერი მოუხერხა. გვასალიაც გერმანელ მარკ რუდოლფთან დამარცხდა მას მერე, ჰოლანდიელს და სომეხს რომ მოუგო. საერთოდ, რუსეთის ნაკრები კარგად იყო მომზადებული, რაც ფალიანსა და გვასალიასაც თვალნათლივ ეტყობოდათ. მაგალითისთვის: თუ ჩვენთვის უბრალო ვიტამინებიც კი სანატრელი იყო, მათ დღეში რამდენჯერმე ალმდგენი პრეპარატებით „კვებავდნენ".

**— სხვებისგან განსხვავებით, მსაჯობაზე აუგი არ დაგცდენიათ.**

– მსაჯების მიმართ ჩვენ არანაირი პრეტენზია არა გვაქვს, ისე კი, ზოგადად, მსაჯობა ჩემპიონატზე ძალზე არაობიექტური იყო. უფრო გერმანელებს, თურქებსა და ბულგარელებს ეხმარებოდნენ – კრივის მამები ხომ ძირითადად ამ ქვეყნებიდან არიან. საცოდაობით დაიწვებოდი, როცა ერთი თავით უფრო ძლიერი კუბელი მოკრივე დამარცხებულად ცხადდებოდა.

**— მომდევნო წელი ოლიმპიადისაა. თქვენი გეგმები?**

– ჰოდა, გაისად მეტად საპასუხისმგებლო შეჯიბრი გველის: დანიაში გასამართ, ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალისტებს ოლიმპიადის საგზური ერგებათ. ამისთვის მზადება წესით დღესვე უნდა დავიწყოთ, მაგრამ უსახსრობის გამო ხელფეხშეკრულები ვართ. თუ მოხერხდა თანხის გამონახვა, რომელიმე საერთაშორისო ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას.

ერეკლე კიკილაშვილი

# მანდელას ნანატრი დღე

ხუთშაბათს დიდი ხნის ნანატრი მომენტი დადგა: სამხრეთი აფრიკის პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ რაგბის მსოფლიო თასის მესამე გათამაშება რომ გახსნა, თავისი განახლებული ქვეყანა ცისარტყელად მოიხსენია, მსოფლიო რაგბის განმგებლებს კი გულწრფელი მადლობა მოახსენა ეგზომ დაფასებისათვის, აქაო და ქვეყნიერების სარაგბო ნაღების მასპინძლობა ჩვენთვის უდიდესი პატივიაო.

აფრიკელ „ქურციკებს“ პირველი მეტოქე უმრისხანესი ჰყავდათ. მართლაც, მსოფლიოს ჩემპიონებმა — ავსტრალიელმა „ვოლაბებმა“ ერთობ სოლიდურად დაიწყეს თამაში და საწყისი ბათქა-ბუთქის შემდეგ, ნახევარი საათის თავზე დიდებული ლელოც გაიტანეს: მეტოქის ლელოს მისადგომებთან მათ რვაგზის გაათამაშ-გამოათამაშეს ბურთი და მასპინძელთა თავგანწირვის მიუხედავად, მაინც გაარღვიეს მათი დაცვა.

ეს იყო და ეს. თამაშის განახლებისთანავე „ქურციკმა“ ფანდერვესტჰოიზენმა ფეხით წინ გაიგდო ბურთი და ზედ ლელოსთან დაეუფლა, მაგრამ გატანამდე ცოტა დააკლდა. „ვოლაბები“ შედრკნენ, „ქურციკები“ კი გახელდნენ, ერთადერთი ზანგის — ჩემპიონატამდე დაშავებული ვილიამსის შემცვლელმა ჰენდრიქსმა კი ისეთი ლელო გაიტანა, მანდელა ლოჟაში აცეკვებულა, თუკი ფხიზელ მავან ბრიტანელ რადიოკომენტატორს ვენდობით, რაკილა ტელევიზიას ეს მომენტი გამორჩა.

მეორე ნახევრის საწყისი 25 წუთი „ვოლაბები“ შოკში იყვნენ. მასპინძლებმა ისიც ერთი პირობა ლელოსაც კი მიაჯაჭვეს. ბრინჯივით დაიბნენ ლაინაფი, ქემფიზი, ქერნსი, გრეგანი. სტრანსკიმ ზედიზედ გატანა საჯარიმო, არეკნი, ლელო და გარდასახვა. ბრწყინავდნენ სტრაული და ფანდერვესტჰოიზენი. მერე და მერე მსოფლიოს ჩემპიონები გონს მოეგნენ. ქემფიზი მიხებურად ათამაშდა, შეუდრეკელი ოფენგაუე კი კვლავაც ყოჩაღად იყო. „ვოლაბებმა“ პრესტიჟის ლელოც გაიტანეს. მათი სიდნეელი მწვრთნელი დვაიერი ახლა ალბათ დაიცოცხავს გუნდს და ბრისბენელი ბიჭების ნაცვლად თავის თანაქალაქელებს დააწინაურებს.

წაგებული ავსტრალიის სამეოთხედფინალო მეტოქედ ინგლისი უნდა ვიგულისხმოთ. ბრიტანელებმა რის ვაი-ნაჩრობით აჯობეს არგენტინელ „პუმებს“, რომლებიც ... და მშვენიერი მობურთალები გამოდგნენ. ინგლისელ ზანგ ოჯომოს (8) ორჯერ წასკდა სისხლი და კვართების გამოცვლა მოუხდა, ქარლინგს კოჭი ეტკინა და ბოლოს კიდეც შეცვალეს, გუნდი კი კვლავ იხსნა ენდრიუმ, ვინაც ექვსიდან ექვსი საჯარიმო შეაგდო და კიდევ ორი არეკნიც ზედ მიაყოლა. ენდრიუმ თამაშის დასაწყისში ერთი არეკნიც გაიტანა, მაგრამ გამოცდილ შოტლანდიელ მსაჯს არასწორად დაეჭირა პოზიცია და ბურთის კარში გასვლა ვერ აღნუსხა.

არგენტინა დაალალატეს დამრტყმელებმა: კრექსელმა (9) და არბისუმ. გუნდი იმავე დღეში ჩაგდო ტონგელმა ტუიპოლოტუმ, ვინაც საფრანგეთთან ბევრი ნალდი საჯარიმო გააფუჭა, რითაც ამაგი წყალში გადაუყარა მხცოვან და ზორზოხა მეფეს, ნაკრების დამრტყმელებს თავად რომ წვრთნის. ფრანგები ჰაი-ფელდის ზეგანზე სათამაშოდ თავიანთ მაღალმთიანეთში, კურორტ ფონრომოში მომზადებულიყვნენ. უკანახაზელ „მამლებს“ თავებიც გადაეხოტრათ და ისეც გარუჯულიყვნენ, რომ ფერით ზღვისრეთელებისგან ძლივს გაარჩევდი. ერთი ციდა ტონგას თხუთმეტი მეომარი 66-ე წუთამდე გაუძალიანდა ამდენსავე გალს (ამ დრომდე ანგარიში 3:9 იყო), მერე კი ევროპელებმა აიშვეს და ერთობ გაილაღეს.

პირველ ტურში ევროპა — ზღვისრეთის კიდევ ორი ბრძოლა გაიმართა. დიდი იმედების მომცემმა იტალიამ ვერაფერი დააკლო მანუ სამოას, ვისი საუკეთესო შვილებიც ყოფილი მეტროპოლიის — ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსში“ თამაშს ამჯობინებენ, ამ ქვეყნის ნაკრებს კი ზელანდიაში გამობრძმედილი სხვა სამოელები შეადგენენ. ერთი მათგანი — ბრაიან ლიმა პრესის ცნობის მიუხედავად თურმე ჯერაც არ გალიგპროფესიონალებულა.

ირლანდია მთელი თამაში კბილებით ეომა დანალის „ოლ ბლექსს“, რომლის თხუთმეტეულშიც ოქლენდის მოთამაშეები უმრავლესობას აღარ შეადგენენ. გადასარევად ითამაშეს ჯელებმა: მერთენსმა, კრონფელდმა, ლომუმ. ეს ნორჩი კამეჩი გარემარბად კი თამაშობს, მაგრამ გუნდის უმძიმესი წევრია და რომ გაქანდება, რამდენიმე მეტოქეს აქეთ-იქით მიმოფანტავს ხოლმე.

ირლანდიიდან გაიბრწყინეს მარდმა და მოქნილმა გეგანმა, ვინაც ერთხელ ლომუც კი ძირს დასცა, ვეტერანმა მეღერეფნე ფრენსისმა და სამივე წინახაზელმა. დამრტყმელმა ეს გუნდიც დაალალატა. სამაგიეროდ, დანარჩენ სამ თამაშში ამ ხელობის ხალხმა გამოიჩინა თავი. რუმინელებს მათი სპორტკომიტეტი დაქადნებია, თუ კანადას ვერ მოუგებთ, დაგხსნით და დაგშლითო, ამათ კი ამის და მიუხედავად მაინც სამარცხვინოდ წააგეს ოქსფორდელი რიისის კანადასთან.

ორგანიზატორებმა შავი აფრიკის პირველი მერცხალ სპილოს ძვლის ნაპირს სამივე თამაში პროვინციულ რიუსტენბურგში დაუნიშნეს, სადაც ხალხი ბალახზე მოედანს სამი მხრით შემოსხდომოდა. ზანგებმა სულ ორჯერ შეუტიეს, მერე კი კაპიტანი ათანასე დალი დაემტვრათ. შოტლანდიის მცველმა და კაპიტანმა გევინ ჰეისთინგსმა ამ დღეს 4 ლელოთი, 9 გარდასახვითა და 2 საჯარიმოთი 44 ქულა მოაგროვა, რაც ფრანგი კამბერაბეროს 1987 წლისეულ რეკორდს 14 ქულით სჯობს.

შავი და არაბული აფრიკის ჩემპიონზე ოდნავ ძლიერი გამოდგა აზიის ჩემპიონი იაპონია, ვისაც უელსმა უმოწყალოდ მოუგო. აზიელთაგანაც ჩათესლილმა ზღვისრეთელებმა: ტონგელმა ძმებმა ლატუებმა, ფიჯელმა ფერგიუსონმა და სამოელმა ტუიმოტომ გამოიდეს თავი.

დღესა და ხვალ მეორე ტურის ოთხოთხი მატჩია. დღეს თამაშები დღის ოთხის ნახევარზე იწყება, ხვალ — სრულ ოთხ საათზე. დრო ჩვენებურია.

უჩა დავითაშვილი



ირლანდიელთა რისხვა ჯონა ლომუ ჰონკონგის შვიდკაცას თასით

## III მსოფლიო თასი. I ტური

25 მაისი

ქეიფთაუნი. „ნიულენდსი“. („ა“)

**ს. აფრიკა 27 (14) — ავსტრალია 18 (3)**

მსაჯი დ. ბევანი (უელსი)

აფრიკა (ნატ = ნატალი; ნარ = ნარინჯი; დკ = დას. კონცხი; ჩტრ = ჩრდ. ტრანსვაალი; დანარჩენები ტრანსვაალი): ანდრე ჟუბერი (ნატ); ჯეიმზ სმოლი (ნატ), იაპი მულდერი, პენი ლერუ, პიტერ ჰენდრიქსი; ჯოელ სტრანსკი (დკ), იუსტ ფანდერვესტჰოიზენი (ჩტრ); პიტერ დიურანი (ნარ), ჯეიმზ დოლტონი, ბალი სვორთი (გარი პეიგელი (დკ) 26"); მარკ ენდრიუზი (ნატ), ჰანეს სტრაიდომი; ფრანსუა პინარი (კაპიტანი), რუბენ კრუგერი (ჩტრ), რუდი სტრაული. — 2ლ: ჰენდრიქსი (38'), სტრანსკი (24"); გ(24"), 4ს (5'21'29'5") და ა (9"): სტრანსკი

ავსტრალია (ასუ = ახ. სამხრ. უელსი; დედ = დედაქალაქის ოლქი; დანარჩენები ქვინზლენდი): მეთიუ პინი; დამიენ სმითი, დანიელ ჰერბერთი, ჯეისონ ლითლი, დევიდ ქემფიზი (ასუ); მაიქლ ლაინაფი (კაპიტანი), ჯორჯ გრეგანი (დედ); დან ქრაული, ფილ ქერნსი (ასუ), იუან მაკქენზი (ასუ); როდ მაკქოლი, ჯონ ილზი; ვილი ოფენგაუე (ასუ), დევიდ ვილსონი, თიმ გევინი (ასუ). — 2ლ: ლაინაფი (32'), ქერნსი (38"); გ (32') და 2ს (3'17'): ლაინაფი

26 მაისი

რიუსტენბურგი. „ოლიმპიკ პარკი“. („დ“)

**შოტლანდია 89 (34) — სპ. ძვლ. ნაპ. 0**

მსაჯი ფ. ვიტო (სამოა)

13ლ: №15 გ. ჰეისთინგსი (11'34'39'36"), 6 ვოლტონი (40'32"), 11 ლოგანი (8"19"), 10 ჩალმერსი (12"), 13 სთეინჯერი (20"), 1 ბერნელი (23"), 3 რაითი (35"), 12 შილი (40"); 9გ (11'34'39'40'19"23"32"36"40") და 2ს (15'23'): გ. ჰეისთინგსი

პრეტორია. „ლოფტუს ფერსფელდი“. („დ“)

**საფრანგეთი 38 (6) — ტონგა 10 (0)**

მსაჯი ს. ლანდერი (ინგლისი)

საფრანგეთი — 4ლ: 12 ლაკრუა (28"42"), 9 უებერი (32"), 11 სანტანდრე (37"); 3გ (32"37"42") და 3ს (30'7"26"): ლაკრუა; ა: 10 დელეგი (8')

ტონგა — ლ: 11 ვაენუკუ (44"); გ და ს (14"): 15 ტუიპოლოტუ

პორტ-ელიზაბეთი. „ბოტ ერაზმუსი“. („ა“)

**კანადა 34 (11) — რუმინეთი 3 (3)**

მსაჯი კ. პოქი (ახ. ზელანდია)

კანადა — 3ლ: 3 სნოუ (22'), 6 შარონი (12"), 8 მაკქენზი (36"); 2გ (12"36"), 4ს (28'42'9"26") და ა (12"): 10 რიისი

რუმინეთი — ს: 10 ნიკიციანი (38')

27 მაისი

ისთ-ლონდონი. „ბაზილ ქენიონი“. („ბ“)

**მანუ სამოა 42 (12) — იტალია 18 (11)**

მსაჯი ჯ. დიუმე (საფრანგეთი)

სამოა — 6ლ: 14 ლიმა (12'9"), 11 პარდერი (20'42"), 8 ტატუპუ (16"), 10 ქელეთი (40"); 3გ (12'16"40") და 2ს (24"38"): ქელეთი

იტალია — 2ლ: 11 მარჩ. კუტიტა (39'), 15 ვაკარი (26"); გ (26"), ს (17') და ა (5'): 10 დომინგესი

ბლუმფონტეინი. „სპრინგბოქ პარკი“. („ბ“)

**უელსი 57 (36) — იაპონია 10 (0)**

მსაჯი ე. სკლარი (არგენტინა)

უელსი — 7ლ: 9 მური (25'), 14 ი.ევანსი (27'40'), 11 თომასი (42'6"34"), 7 ჰ. თეილორი (38"); 5გ (25'27'6"34"38") და 4ს (3'8'20'36'): 12 ნ. ჯენქინსი

იაპონია — 2ლ: 14 ტუიმოტო (24"45")

დურბანი. „კინგზ პარკი“. („ბ“)

**ინგლისი 24 (12) — არგენტინა 18 (0)**

მსაჯი ჯ. ფლემინგი (შოტლანდია)

ინგლისი — 6ს (5'15'28'36'10"38") და 2ა (4"25"): 10 ენდრიუ

არგენტინა — 2ლ: ჯგუფური (14"), 10 არბისუ (45"); გ (14") და 2ს (5"27"): არბისუ

იოჰანესბურგი. „ელის პარკი“. („გ“)

**ზელანდია 43 (20) — ირლანდია 19 (12)**

მსაჯი ვ. ერიქსონი (ავსტრალია)

ზელანდია: ოზბორნი; ვილსონი (ელისი), ბანსი, ლითლი, ლომუ; მერთენსი, ბეშოფი; დაუდი, ფითსპატრიკი (კაპიტანი) (პიუითი, დროებით), ბრაუნი; ი. ჯოუნზი, ლარსონი; ჯოზეფი, კრონფელდი, ბრუერი (შულერი). — 5ლ: ლომუ (32'2"), ბანსი (35'), კრონფელდი (28"), ოზბორნი (41"); 3გ (32'35'41") და 4ს (11'16'8"33"): მერთენსი

ირლანდია: სტეიპლზი (ფილდი); ვოლისი, მალინი, ბელი, გეგანი; ელვუდი, ბრედლი; ფოფლველი, კინგსტონი (კაპიტანი), ჰალფინი; ფულჩერი, ფრენსისი; ქოქერი, მაკბრაიდი, ჯონსი. — 3ლ: ჰალფინი (8'), მაკბრაიდი (41') ქოქერი (39"); 2გ: ელვუდი (8'39")

# ნაღდი «ხინკლის არქიპელაგი»

ვინც რეჯინალდ მალვერსთონის წერილების ციკლის მკითხველია, ერთი კვირის წინ ვაკეში გამართული ორი სარაგბო მატჩის მონაწილეებში უთუოდ ხინკლელებს შეიცნობდა.

მაისისათვის უჩვეულო ხვატში დამრტყმელები პანტა-პუნტით აფუჭებდნენ საჯარიმოებს, მასპინძელი თანამსაჯების კაიბიჭობით შეწუხებული მსაჯები კი ამათ მოედნიდან აძევებდნენ. ერთ მატჩში ისეთი მუშტი-კრივი გაიმართა, ლელობურთელებსაც შეშურდებოდათ, მეორეში კი თამაში ცოტა ხნით რომ შეფერხდა, ტრიბუნაზე სასოწარკვეთილი და ავისმომასწავებელი წივილი მორთეს დამსწრე დიაცებმა: მავანი გუნდის „დირექტორატის“ მავანმა წევრმა დამბაჩა იძრო და მოედანზე შეჭრა დააპირა, მაგრამ დამსწრე საზოგადოების ალალმა და თავდადებულმა წევრებმა დროზე შებოჭეს. სამაგიეროდ, წინადღით სტუმარი გუნდის სამმა ჯელმა უკანახაზელმა ღვაწლმოსილ მსაჯს უშვერად აგინა, გაძევებულთა მოედნიდან გასაყვანად კი 6-წუთიანი ტაიმ-აუტის გამოცხადება და შუამავალთა ჩარევა გახდა საჭირო. გარდა ამისა, ორივე თამაშში ბურთი ბევრჯერ ჩავარდა ყოფილი „ჯუნგლების“ ადგილზე ამოთხრილ ქვაბულში, ნაღდ ჯუნგლებად რომ ქცეულა, ერთი-ორჯერ შლანგით მოანცეთა მიერ მოედნის კიდეზე მოწყობილ ტბორშიც გაეჭედა, ავტო-რაგბის მიმდევრები კი „აიას“ თამაშს მრავლად დაესწრნენ, თუმცა რაგბის კავშირის მავანი მუშაკის დაჟინებით მთავარი ტრიბუნის წინ ვეღარ მოეწყვნენ და მოედნის კუთხეებიდან თამაშის ჭვრეტასღა უნდა დასჯერებოდნენ. მოკლედ, რაც ხინკლელმა მორაგბეებმა პირველ ტურებში დაგვაკლეს, წინა კვირაში აგვინაზღაურეს, თუმცაკი, ცოდვა გამხელილი სჯობს და, აბა, სად მოვლენ მრგვალი ბურთით ნაირგვარ ყაიდაზე მობურთავე თანამემამულეებთან. სხვაფრივ ყველაფერი კარგი იყო ორივე თამაშში. მაყურებელი უთუოდ ისიამოვნებდა, რადგან ამაღელვებელი შეჯიბრება იხილა.

სამშაბათს „თბილისმა“ ტრადიციულად კარგად ითამაშა შესვენებამდე და ცუდად — მეორე ნახევარში. მასპინძლები „აზოტზე“ დარაზმული ჩანდნენ და შერკინებითაც ჯობნიდნენ. პირველი ლელო „თბილისმა“ ძალით გაიტანა, მეორეს დროს კი იოვაძის, ალანიასა და ბრაგვაძის პირველი იერიშის შემდეგ მშვენივრად გადაჯგუფდა და ჩხენკელმაც ალანიას დიდოსტატურად შეუგორა ბურთი ლელოში. მალე მასპინძელთა ორივე შუამარბი დაშავდა და უკანა ხაზიც გადალაგდა.

ტაიმის ბოლოს „აზოტმა“ ბურთის გათამაშებას მიჰყო ხელი. ლამაზად აბურთავდნენ გოგიშვილი, ჯიმშელაძე, ხუციშვილი. ჯარიმებიც ზედიზედ დაინიშნა, მაგრამ რუსთაველებს ორი იოლი დარტყმა გაუცუდდათ. მერე მათ ორჯერ გაითამაშეს საჯარიმო, ლელო კი იმით გაიტანეს, რომ მეტოქემ აბრაგანი ვერ მოიგერია.

შესვენების შემდეგ თამაში ასევე გაგრძელდა. ბურთაობით დამსახურებული საჯარიმოები „აზოტმა“ ვერ გამოიყენა მე-14 და 25-ე წუთებზე, თამაშის დასკვნით ათ წუთში კი იყო კიდევ სამი გათამაშებული საჯარიმო, 30-კაციანი ჩხუბი, წყლის ლიანგური სმა, დავა და აყალ-მაყალი, ბოლოს კი ტრადიციული სამგზის „ვაშა“.

ოთხშაბათს „აზოტის“ დამრტყმელებს არ ჩამორჩნენ სამი გუმარელი და ორი აიელი: პირველებმა 7-დან 2 გოლი გაიტანეს, მეორეებმა — 9-დან 3. ამასთან, „გუმარმა“ ორჯერ სცადა არეკნი, „აიამ“ — სამჯერ.

„აიამ“ თამაში დაიწყო და საჯარიმოც მოიპოვა, მაგრამ ბურთი კარს აცდა. მერე მგელაძე „გუმარს“ თავისი 22-დან გამოუძღვა. თბილისელებმა მწვავედ შეუტიეს, მაგრამ მე-7, მე-9 და მე-13 წუთებზე საჯარიმოები გააფუჭეს. „აია“ ამ დროისთვის დაღლილი ჩანდა, მაგრამ ქუთაისელებმა მეტოქე თანდათან აიყოლიეს პინგ-პონგსა და ჭიდილში, თავად კი სული მოითქვეს.

მე-17 წუთზე „აიამ“ ახლოდან გააფუჭა საჯარიმო, მე-20 წუთზე — ერთობ შორიდან კარს ოდნავ ვერ უწია, მაგრამ 32-ეზე უმცროსმა ძაგნიძემ მარჯვენა ფრთიდან გახსნა ანგარიში 0:3. ამას მოყვა „გუმარის“ შეტევა მისივე ნახევრიდან და „აიას“ მეორე არეკნი და მეხუთე საჯარიმო.

მე-40 წუთზე მატჩის საუკეთესო ლელო გავიდა: დაცვის ხაზი გაარღვია ჩიქვინიძემ; მოდებაძემ მოკლე ფრთისკენ შეატევინა მგელაძეს, ამან მეტოქეები დაიფრინა და ბურთი შიგნით მოისროლა, სადაც მას ჩიქავა სასწაულად მისწვდა 7:3.

მეორე ნახევარში „აიამ“ მგელაძის ასალაგმად ე. ძაგნიძე გადაიყვანა. „გუმარმა“ ისევ გააგრძელა ბურთაობა. მანამდეც და მერეც ერთობ ეშხიანად თამაშობდა ექსქუთაისელი, აწ კი ვაკის სტადიონის მაყურებელთა კერპი მაჩიტიძე, რომელიც თბილისელებს ფრთაზე კი გადაემალათ, მაგრამ მაინც ჩანდა. „აიას“ ჰყავდა რეხვიაშვილი და ტურძელაძე. პირველი რაგბს ახლახან დაბრუნებია, მაგრამ ერთობ დაულალავი და ძნელად გასაჩერებელი კი იყო.

მესამე ხაზის იერიშებით „აიამ“ ახლოდან ერთი საჯარიმოც დაიმსახურა 7:6. მალე „გუმარს“ აერია დავთრები: ზედიზედ ორჯერ — მე-15 და მე-18 წუთებზე უდროოდ გაათამაშა საჯარიმოები. არადა, პირველი ნაღდად კარში იყო დასარტყმელი, მეორეს დროს კი მოედანზე 14 გუმარელი იყო, მეტოქის ლელომდე კი 60 მეტრი რჩებოდა. თბილისელებმა ბურთი ორჯერვე შეაჩერეს გაუქანებელ მგელაძეს, ვან ვერაფერი გააჩერა. მეორე ჯერზე ბურთი „აიამ“ იგდო და მისცა ძოწენიძეს, ვისაც ხორციელთაგან ვერავინ შეაჩერებდა 7:13.

ამ დროს სათამაშოდ კიდევ რჩებოდა 20 წუთი. „გუმარი“ ისევ აბურთავდა, რასაც საჯარიმოები მოყვა. ჯერ 24-ე, მერე კი 32-ე წუთზე თბილისელებმა ნაღდი გოლი ვერ გაიტანეს, რაც გასაკვირი არაა, ვინაიდან ყველა შეძრა დამბაჩის ინციდენტმა. ერთ წუთში სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა. „აიამ“ თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანა. 36-ე წუთზე სამმა თბილისელმა გაჭირვებით მოიგერია ძოწენიძის იერიში; 41-ეზე რეხვიაშვილის მორიგი გარღვევა საჯარიმოთი დასრულდა. „გუმარი“ გოლს გადაურჩა. მაჩიტიძემ თავისი ლელოდანა შეუტია, 43-ე წუთზე შუახაზიდან არეკნითაც დაარტყა, მაგრამ ამაოდ.

„გუმარმა“ პირველად წააგო. „აია“ ცხრილში საგრძნობლად დაწინაურდა. ქუთათურები ვაკეს 7 ივნისსღა ეწვევიან — „თბილისთან“ სათამაშოდ.

## საქართველოს პირველობა

პირველი ჯგუფი

17.V. ქუთაისის რაგბის მოედანი

**აია-პეი 54 (17) — აიეტი-ქსუ 3 (3)**

მსაჯი დ. ფულარია

აია — 9ლ: №8 ზვ. ლიპარტელიანი-2, 7 აბდალაძე, 6 ფხაკაძე, 10 ნ.ძაგნიძე, 13 ტყაბლაძე (2), 5 ხამაშურიძე, 1 ავთ. გიორგაძე; 3გ, ს: ნ. ძაგნიძე

აიეტი — ს: 15 შავანგირაძე

23.V. ქუთაისის დინამოს სტადიონი

**აიეტი-ქსუ 13 (8) — ყოჩები 33 (15)**

მსაჯი ა.ლიბრაძე

აიეტი — 2ლ: 14 ბეს. ხამაშურიძე, 9 ორმოცაძე; ს: 15 ზ. შავანგირაძე

ყოჩები — 4ლ: 13 ბარძიმიშვილი (3), 4 ურუშაძე; 2გ და 3ს: 10 ტეფნაძე

23.V. ვაკე

**თბილისი 17 (17) — აზოტი 10 (7)**

მსაჯი გ. აბაშიძე (43'+53")

თბილისი: ნეველიძე; სპ. ლიპარტელიანი, კ. ალანია (გეგელაშვილი, 1"), ჩხენკელი (სიხარულიძე, 4"), ქავთარაშვილი; ძნელაძე, იოვაძე; პატარაია, ცქიტიშვილი, მაჭუტაძე; კახიანი, კაცაძე; დგებუაძე, ბრაგვაძე (ა. კობახიძე, 1"), ლუდუშაური. — 2ლ: საჯარიმო (22'), ალანია (25'); 2გ და ს (31'): ძნელაძე

აზოტი: ჯიმშელაძე; ლ. ბერიშვილი (გააძევეს, 52"), ზ. ბერიშვილი (გააძევეს), აფციაური, ბაციაშვილი; გოგიშვილი, ხუციშვილი; ყანჩაველი, კაკაბაძე, მლებრიშვილი; უჩავა (ჩივაძე, 1"), სულხანიშვილი; ზ. მაჩიტიძე, ბებიაშვილი, ქერდიკაშვილი. — ლ: აფციაური (42'); გ და ს (33"): გოგიშვილი

24.V. ვაკე

**გუმარი 10 (7) — აია-პეი 13 (3)**

მსაჯი პ. ნარიმანაშვილი (41'+44")

გუმარი: ი. ლეჟავა; კ. მაჩიტიძე, ჩიქვინიძე, მგელაძე, ბუგიანიშვილი; მოდებაძე, ჯანელიძე; ბერიაშვილი, მთიულიშვილი, ცაბაძე; ხუადე, მჭედლიშვილი; მაგრაქველიძე (სორდია, 13"), ჩიქავა (კ.კობახიძე, 19", დროებით), დიდებულიძე. — ლ: ჩიქავა (40'); გ და ს (33"): მოდებაძე

აია: ე.ძაგნიძე; ძოწენიძე, ტყაბლაძე, გეგუჩაძე, ჩუბინიძე; ნ. ძაგნიძე, იობიძე; ავთ.გიორგაძე (აქვს. გიორგაძე, 2' დროებით), ტურძელაძე, აშვეთია (აქვს. გიორგაძე, 29'; ბ.შავანგირაძე, 7"); ბართ. ხამაშურიძე (ოდიშარია, 1"), ნაჭყებია; ფხაკაძე, რეხვიაშვილი, ზვ. ლიპარტელიანი. — ლ: ძოწენიძე (18"); გ: ნ. ძაგნიძე; 2ს: ე. ძაგნიძე (32') ნ. ძაგნიძე (10")

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აია-პეი | 4 | 4 | 0 | 0 | 135:36 | 17-3 | 8 |
| თბილისი | 4 | 2 | 1 | 1 | 88:52 | 12-3 | 5 |
| გუმარი | 4 | 2 | 1 | 1 | 55:45 | 3-2 | 5 |
| ყოჩები | 4 | 2 | 0 | 2 | 67:86 | 5-9 | 4 |
| აზოტი | 4 | 1 | 0 | 3 | 63:56 | 6-5 | 2 |
| აიეტი-ქსუ | 4 | 0 | 0 | 4 | 22:158 | 2-23 | 0 |

მსოფლიო თასის გამო პირველი ჯგუფის გუნდები ამ კვირაში ისვენებენ.

| ბომბარდირები | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ნ. ძაგნიძე აია | 1 | 9 | 6 | 1 | 44 |
| ტეფნაძე ყოჩები | - | 3 | 10 | 2 | 42 |
| ჯიმშელაძე აზოტი | - | 5 | 6 | - | 28 |
| მოდებაძე გუმარი | - | 2 | 6 | 1 | 25 |
| გეგელაშვილი თბილისი | 1 | 1 | 4 | - | 19 |
| მაჩიტიძე გუმარი | - | - | 5 | - | 15 |

მელელოვეები: ლ.ბერიშვილი (აზოტი) 4; ჩუბინიძე (აია), ტყაბლაძე (აია), ალანია (თბილისი) და ბარძიმიშვილი (ყოჩები) 3-3; ბუგიანიშვილი (გუმარი) და აფციაური (აზოტი) 2-2

მეარეკნეები: ტეფნაძე 2; ძნელაძე (თბილისი), მოდებაძე და ნ.ძაგნიძე — თითო

# „მესეფი“ საუკეთესო კლუბია!

სასტუმრო „აჭარის“ ბოლო სართულზე მდებარე კლუბი „მესეფი“ ერთი თვე რაგბის ქომაგების ხელში იქნება. ამ დაწესებულების მეპატრონეებმა იზრუნეს და მსოფლიო თასის ბოლომდე საბურთალოური „მეშვიდე არხის“ კაბელიც შეიყვანეს, რაც კლუბის სტუმრებს იშვიათ კომფორტს უქმნის.

საქმე ისაა, რომ თბილისურ ოჯახებში ესოდენ პოპულარული **Eurosport** საკმაოდ ტუტუცური არხია: რაგბს ამ კვირიდან ან ძალიან გვიან გადასცემს, ანაც ერთობ შეკვეცილ-შემცირებულს. რაც შეეხება „მეშვიდე არხის“ მიერ გახერხებულ ჰონკონგურ **Star TV**-ს, იგი ყველა თამაშს პირდაპირ აჩვენებს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ Yamaha-ს გენერატორის ქონის გამო „მესეფში“ დენის გამორთვა არ აშინებთ, მაშინ დავასკვნით, რომ ეს კლუბი მსოფლიო თასით ტკბობის საუკეთესო ადგილი ყოფილა მთელი ქალაქის მასშტაბით.

რაგბის ქომაგებთან ერთადერთი მოსაბოდიშებელი ჩვენა გვაქვს. თამაშების განრიგის გამოქვეყნებისას გამოგვრჩა, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩვენგან განსხვავებით არ გადავიდოდნენ ზაფხულის დროზე, რაკილა იქ ახლა ზამთრის პირია. ამის გამოა, ჩვენებური დრო იქაურს ამჟამად ორის ნაცვლად სამი საათით რომ უსწრებს, რაც იწვევს იმას, რომ თამაშების დაწყების დროის გამოსათვლელად „სარბიელისეულ“ მონაცემებს ერთი საათი უნდა წაემატოს.

„მესეფში“ რაგბის ხილვა მუქთა როდია. ერთდღიანი ბილეთის ფასი სულ რაღაც 6000 რუბლია, რაც, არა გვგონია, უმაღლესი დონის რაგბის დამფასებლებმა იძვირონ.

ერთი სიტყვით, ყველანი — „მესეფში“!



# მონაკოს ახალი მეფე

მონტე-კარლოს ქუჩე[illegible]ში შარშანდელი რბოლა მიხაელ შუმახერმა უზარმაზარი, 37-წამიანი უპირატესობით მოიგო. ამ ერთულებს და ფორმულის ტრასებიდან ყველაზე ნელ გზაზე უფრო მეტით გასწრება თითქმის წარმოუდგენელია. მაგრამ „შუმიმ“ ეს მოახერხა და გუშინწინდელ რბოლაში მეორე ადგილზე გასულ თავის უმთავრეს კონკურენტს დეიმონ ჰილს 45 წამით მიასწრო. არადა, კვალიფიკაციაში ყველას სწორედ ჰილმა აჯობა და პირველი სასტარტო პოზიციაც დაიბევა. შუმახერი მეორე იყო. მესამე — ჰილის თანაგუნდელი დევიდ კულტჰარდი, მერე კი ორი ფერარელი — გერჰარდ ბერგერი და ჟან ალეზი იდგნენ.

ალეზიმ სტარტიდანვე სცადა კულტჰარდისთვის გზის მოჭრა, მაგრამ შოტლანდიელმა არ დაანება, მანქანები ერთმანეთს შეასკდა და გზაზე გაეჩხირა. მერე ალეზის თანაგუნდელიც დაეჯახა და რბოლა შეწყდა.

20 წუთის მერე ხელმეორე სტარტი ისევ ჰილმა მოიგო და დისტანციის მესამედი დამაჯერებლად ლიდერობდა. მაგრამ ბოქსებში შესვლის შემდეგ პირველობა შუმახერს გადაულოცა. გერმანელ პილოტს გადაწყვეტილი ჰქონდა საბურავების ერთხელ შეცვლა და შუა რბოლამდე იცდიდა. მექანიკოსებმა მისი „ბენეტონი“ ბოქსებში საკმაოდ დიდხანს 10,2 წამით შეაყოვნეს და ამასობაში ლიდერობა ალეზიმ იგდო ხელთ, მაგრამ სულ ერთი წრით. საბურავების გამოცვლამ და საწვავის ჩამატებამ ისევ მეორე პოზიციაზე გადაანაცვლა. ჰილი ბევრით ჩამორჩებოდა ალეზის და შეიძლება ვერც კი დასწეოდა, მაგრამ 41-ე წრეზე ალეზისა და მარტინ ბრანდლის შეჯახებამ ორივე რბოლას ჩამოაშორა.

შუმახერი კი ყოველ წრეზე ზრდიდა თავის უპირატესობას. ფრთხილი ჰილი მეორედ შევიდა ბოქსებში და იმასღა ცდილობდა, მეორე ადგილი არ დაეკარგა ბერგერთან ჭიდილში. საბოლოოდ, ეს კი მოახერხა, მაგრამ საერთო ჩათვლაში კიდევ უფრო ჩამორჩა დაწინაურებულ გერმანელს.

28 მაისი. მონაკოს „გრან-პრი“. ტრასა მონტე-კარლოს ქუჩებში. წრის სიგრძე 3328 მ. 78 წრე — 259,6 კმ.

1. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი“) — 1 სათი, 53,11 წთ. (საშ. სიჩქარე 137,6კმ-სთ), 2. დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი, „უილიამსი“), 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი“), 4. ჯონი ჰერბერტი (ბრიტანეთი, „ბენეტონი“), 5. მარკ ბლანდელი (ბრიტანეთი, „მაკლარენი“), 6. ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (გერმანია, „ზაუბერი“).

ხუთი ეტაპის შემდეგ: შუმახერი — 34 ქულა; ჰილი — 29; ბერგერი — 17, ჟან ალეზი („ფერარი“) — 14, ჰერბერტი — 12; დევიდ კულტჰარდი („უილიამსი“) — 9

კონსტრუქტორების თასი: 1. ბენეტონი — 36; 2. უილიამსი — 32; 3. ფერარი — 31.

გუშინ პარიზში, „როლან გაროსზე“ ჩოგბურთელთა დიდი სლემის მეორე შეჯიბრი — საფრანგეთის ღია პირველობა გაჩაღდა. ესპანეთის მეფე ხუან კარლოსს ამთავითვე დაუგეგმავს 11 ივნისს, შეჯიბრების ბოლო დღეს კორტებზე მიბრძანება, რადგანაც კარგად ჰქონია დაცდილი: შარშან ასე მოქცეულა და ერთეულთა თანრიგში ორ ესპანელს — არანტა სანჩეს-ვიკარიოსა და სერხი ბრუგერას გაუმარჯვნიათ.

წელს შარშანდელი ჩემპიონები თანდათან შედიან ფორმაში, თუმცაკი ვერა სჯობნიან თიხაზე თამაშის ორ სხვა სპეციალისტს — ავსტრიელ თომას მუსტერსა და ესპანელ კონჩიტა მარტინესს. პირველს წელს უკვე ზედიზედ ხუთი შეჯიბრი მოუგია, მეორეს — ზედიზედ ოთხი.

ფავორიტთა შორის ითვლებიან გრაფი და კურიეც. შარშანდელი ფინალისტი ფრანგი მარი პირსიც ანგარიშგასაწევი ძალაა, მით უფრო, რომ ფრანგ ქალებს შინ უკანასკნელად 1967 წელს გაუმარჯვნიათ. თუ შეჯიბრება განთესვის შესაბამისად წარიმართება, ე.ი. ძლიერად შეგულვებული სუსტს მოუგებს, მერვედფინალში ცალკერძ ვაჟები და ცალკერძ ქალები შემდეგნაირად უნდა დაწყვილდნენ:

ვაჟები. აგასი — კრაიჩეკი, კაფელნიკოვი — ფერერა; ივანიშევიჩი — კურიე, ბერესატეგი — მუსტერი. ჩანგი — შტიხი, მარტინი — ბეკერი; ბრუგერა — ლარსონი, როსე — სამპრასი

ქალები. სანჩეს-ვიკარიო — ფრეზიერი, სუკოვა — ნოვოტნა; პირსი — მაიოლი, დატე — დავენპორტი. მაგდა მალეევა — სავამაცუ, მ.ჯ. ფერნანდესი — მარტინესი; საბატინი — ზვერევა, ჰუბერი — გრაფი

წინა კვირაში (22-28.V) ერთი გუნდური და ორიც უმნიშვნელო ტურნირი გაიმართა.

დიუსელდორფი (გერმანია). ვაჟთა გუნდური მსოფლიო თასი. ცისფერი ჯგუფი: გერმანია (შარშანდელი ჩემპიონი), შვედეთი, აშშ, ავსტრალია. წითელი ჯგუფი: ხორვატია, პოლანდია, რუსეთი, ესპანეთი. ფინალი: შვედეთი — ხორვატია 2-1 (ედბერგი — პირშონი 6:1, 6:4; ლარსონი — ივანიშევიჩი 4:6,4:6; ედბერგი, ბიორკმანი — ივანიშევიჩი, პირშონი 4:6, 6:4, 6:3)

ვაჟები. ბოლონია (იტალია). ფინალი: მარსელო რიოსი (ჩილე) — მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) 6:2,6:4

ქალები. სტრასბური (საფრანგეთი). ფინალი: ლიდნზი დავენპორტი (აშშ) — კიმიკო დატე (იაპონია) 3:6,6:1,6:2

დევისის თასის ნახევარფინალები 22-24 სექტემბერს გაიმართება ლას-ვეგასში (აშშ — შვედეთი) და მოსკოვში (რუსეთი — გერმანია)

## რომინგერმა სხვაობა გააორმაგა

როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიის ველოტურ „ჯიროს“ ლიდერი — შვეიცარელი ტონი რომინგერი მეტად დაწინაურდა წინა ორშაბათის, 22 მაისის, 42-კილომეტრიანი, მეათე ჩქაროსნული ეტაპის (ტელეზე ტერმა — მადალონი) შემდეგ. რომინგერმა დამაჯერებლად აჯობა რუს ბერზინსა და ლატვიელ უგრუმოვს და იტალიელ კაზაგრანდესთან სხვაობა გააორმაგა. მთებში ასვლის წინ 23 მაისი დასვენებას დაეთმო, 24 მაისს კი XI ეტაპი (პიეტრაძანდა — ილ ჩოკო, 175 კმ) მოიგო იტალიელმა ენრიკო ძაინამ. უგრუმოვი მას 43 წამით ჩამორჩა და ჯამურ მეორე ადგილზე გადავიდა. 25 მაისს, XII ეტაპზე (ბორგომოცანო — ჩენტო, 201 კმ) იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ აჯობა სლოვაკ იან ზვორადას, მაგრამ ჟიურიმ მას მოგება ჩამოართვა და 2500 შვეიცარული ფრანკითაც დააჯარიმა, ვინაიდან ჩიპოლინის ხელი უკრავს ლომბარდისთვის. 26 მაისს, XIII ეტაპზე (პიევე დი ჩენტო — როვერეტო, 218 კმ) გაიმარჯვა შვეიცარელმა პასკალ რიშარმა, ჯამში კი რომინგერს 3 წუთითა და 2 წამით ჩამორჩებოდა უგრუმოვი, 16-ით ბერზინი, 3.20-ით იტალიელი კაზაგრანდე. ამის შემდეგ ტურმა საფრანგეთსა და შვეიცარიაში შეუხვია. XIV ეტაპი (ტრენტო — ვან სენალუსი, 240 კმ) 27 მაისს მოიგო კოლუმბიელმა ოლივიერო რინკონმა, რომელიც წინა ეტაპზე ფინიშთან მეორე მივიდა. კვირის XV ეტაპს (ვან სენალუსი — ლენცერჰაიდე, 185 კმ) ისევ არაფერი შეუცვლია. იგი იტალიელმა მარიანო პიკოლიმ მოიგო. დღეს ბოლო ჩქაროსნული ეტაპია — იგი თუ შეცვლის რამეს, თორემ სხვაფრივ რომინგერს ვეღარავინ დაეწევა.

### NBA. ფლეი-ოფი

კონფერენციების ფინალი

აღმოსავლეთი

ორლანდო — ინდიანა 2-1 (105:101, 119:114, 100:105)

დასავლეთი

ჰიუსტონი — სან-ანტონიო 2-2 (94:93, 106:96, 102:107, 81:103)

„სან-ანტონიოს“ 30 წლის ცენტრი დევიდ რობინსონი პირველად აღიარეს ასოციაციის უძვირფასეს მოთამაშედ (**Most Valuable Player**), მისმა გუნდმა კი ეს მოვლენა იმით აღნიშნა, რომ შინ ორჯერ დამარცხების შემდეგ ჰიუსტონში ორი თამაში მოუგო შარშანდელი უძვირფასესის, აკიმ ოლაჯუონის გუნდს.

ჰოკეის ლიგაში მეოთხედფინალები მოულოდნელად ადრე დამთავრდა. „დეტროიტს“, „ჩიკაგოსა“ და „ფილადელფიას“ ოთხ-ოთხი თამაში ეყოთ „სან-ხოსეს“, „ვანკუვერისა“ და „რეინჯერსის“ დასამარცხებლად. ცოტა გაიბრძოლა „პიტსბურგმა“ და სერია 1-4 წააგო „ნიუ-ჯერსისთან“. ნახევარფინალებში ითამაშებენ: „დეტროიტ რედ ვინგზი“ — „ჩიკაგო ბლექ[illegible]ოქსი“, „ფილადელფია ფლაი[illegible]“ — „ნიუ-ჯერსი დევილზი“.

## აქაც კარგი ცენტრი იყო...

ხორვატ კალათბურთელებს სამწუხარო ტრადიცია დაებედათ: ევროპის ჩემპიონატის წინ თითო ვარსკვლავი აკლდებათ. 1993 წელს ავტოკატასტროფამ დრაჟენ პეტროვიჩი იმსხვერპლა. წელს კი, 26 მაისს ბალტიმეროს (აშშ) ერთ-ერთ ოტელში გულის შეტევით გარდაიცვალა იუგოსლავიისა და ხორვატიის ყველა დროის საუკეთესო ცენტრი და უცვლელი კაპიტანი კრეშემირ ჩოსიჩი.

ჩოსიჩი 1948 წლის 26 ნოემბერს დაიბადა. სამჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი (1973,75,77), ორჯერ — მსოფლიოსი (1970,78), ერთხელ ოლიმპიადა მოიგო (1980). ამის გარდა ორჯერ იყო მსოფლიოს (1967,74) და ერთხელ ოლიმპიადის (1976) ვერცხლის პრიზიორი. ნიჭიერი კალათბურთელი 1970 წელს ამერიკაში მიიწვიეს, სადაც სამწლიანი სტაჟირება გაიარა იქაურ საუნივერსიტეტო გუნდებში. 1973 წლის დრაფტში კი 210 სანტიმეტრიანი კრეშემერი „ლოს-ანჯელეს ლეიკერზმა“ ამოირჩია, მაგრამ იმხანად სოციალისტური ბანაკის წევრი ქვეყნის ქვეშევრდომის პროფესიონალობა ვის გაეგონა...

კარიერის დამთავრების შემდეგ ჩოსიჩმა მწვრთნელობა დაიწყო. სათავეში ედგა იუგოსლავიის და შემდეგ ხორვატიის ნაკრებებს. 1994 წლის მარტში კრეშიმერმა საბოლოოდ დაანება თავი კალათბურთს და დიპლომატიურ სარბიელზე გადავიდა. დანიშვნის დღიდან სიკვდილამდე მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ხორვატიის საელჩოს სპეციალურ მრჩევლად.

### შედეგთა დაფა

#### თავისუფალი ჭიდაობა

ევროპის ჩემპიონატი.
ფრიბურგი, შვეიცარია. 11-14 მაისი

48 კგ. 1. ვულარ ორუჯევი, რუსეთი; 2. ლასლო ოვარი, უნგრეთი; 3. ვიქტორ უეფტენი, უკრაინა; 4. არმენ მკრტჩიანი, სომხეთი

52 კგ. 1. ნამიგ აბდულაევი, აზერბაიჯანი; 2. მეთინ თოფქათასი, თურქეთი; 3. ივან ცონოვი, ბულგარეთი; 4. კონსტანტინ კორდუნეანუ, რუმინეთი

57 კგ. 1. ასლანბეკ ფიდაროვი, უკრაინა; 2 სერაფიმ ბარძაკოვი, ბულგარეთი; 3. არიფ აბდულაევი, აზერბაიჯანი; 4. ანუჩვან შაკიანი, სომხეთი

62 კგ. 1. მაჰომედ აზიზოვი, რუსეთი; 2. იურონ შაიბე, გერმანია; 3. სერგეი სმალი, ბელორუსი; 4. მარტინ მიულერი, შვეიცარია

68 კგ. 1. ვადიმ ბოგიევი, რუსეთი; 2. იუქსელ სანლი, თურქეთი; 3. არაიკ გევორქიანი, სომხეთი; 4. ზაზა ზოზიროვი, უკრაინა

74 კგ. 1. ალექსანდერ ლეოპოლდი, გერმანია; 2. თურან ქაინალი, თურქეთი; 3. ნასირ გაჯიხანოვი, რუსეთი; 4. ალან მეცოკოვი, უკრაინა

82 კგ. 1. მუჰამედ იბრაჰიმოვი, აზერბაიჯანი; 2. სერგეი გუბრინიუკი, უკრაინა; 3. რასულ კატინოვასოვი, რუსეთი; 4. ნიკოლაე გიტა, რუმინეთი

90 კგ. 1. მახარბეკ ხადარცევი, რუსეთი; 2. ელდარ კურტანიძე, საქართველო; 3. საგად მურთაზალიევი, რუსეთი; 4. იოზეფ ლოგინია, სლოვაკეთი

100 კგ. 1. დაეიდ მუსულბესი, რუსეთი; 2. მილან მაზაჩი, სლოვაკეთი; 3. არავატ საბეევი, გერმანია; 4. არვი ააეიკი, ესტონეთი

130 კგ. 1. მაჰმუდ დემირი, თურქეთი; 2. მერაბ ვალიევი, უკრაინა; 3. ლერი ხაბელოვი, რუსეთი; 4. ალექსეი მედვედევი, ბელარუსი

ათიოდე დღის წინ დასრულებულ ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატში საფრანგეთის ნაკრების გამარჯვება ბევრმა უდიდეს სენსაციად მონათლა. მაგრამ, ასეა თუ ისე, ფრანგებმა ისლანდიაში ყველას აჯობეს და წინა პირველობის ვერცხლი ოქროდ აქციეს. ამ წარმატებაში უმთავრესი წვლილი მიუძღვის სადღეისოდ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ხელბურთელს, 26 წლის ჯექსონ რიჩარდსონს, რომელმაც მთელ ჩემპიონატში და განსაკუთრებით ხორვატებთან ფინალურ მატჩში ბრწყინვალედ ითამაშა. ხელბურთის მრავალი ექსპერტის აზრით, ჯექსონ რიჩარდსონი ჩვენი დროის საუკეთესო მცველია. ამ მარსელელი მუქკანიანის ხიმსუბუქემ, სისწრაფემ, ტაქტიკურმა ალღომ და ბურთის ფლობის ვირტუოზულმა ტექნიკამ შეუძლებელია არ მოგხიბლოთ და აღგაფრთოვანოთ. ამიტომაცაა, რომ სადაც კი საფრანგეთის ნაკრები ასპარეზობს, ეს თმადაწნული მამაკაცი უმალ მაყურებელთა კერპი ხდება.



## ბელადი ცოტა ზარმაცია

ჯექსონ რიჩარდსონი წარმოშობით კუნძულ რეუნიონიდანაა, რომელიც ინდოეთის ოკეანეში მდებარეობს და საფრანგეთს ეკუთვნის. „სამშობლოში ბელადივით მაფასებენ“ — ამბობს რიჩარდსონი და სულაც არ აჭარბებს. იგი მართლაც ფრიად დაფასებული კაცია კუნძულზე. რიჩარდსონი რეუნიონზე დაიბადა და გაიზარდა, იქ თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს და ხელბურთს. ექვსი წლის წინ სამხედრო ვალდებულების მოსახდელად პარიზში ჩავიდა.

ხელბურთი რეუნიონზე ძალზე პოპულარულია. 350 ათასი მცხოვრებიდან 4000 ამ სახეობას მისდევს. კუნძულელებს ძალიან ეამაყებათ, რომ მათი თანამემამულე საფრანგეთის ნაკრებში თამაშობს. მალე საამაყო მეტი ექნებათ: რიჩარდსონი ნაკრებში თვისტომთა შემატებას მოელის — „საფრანგეთის ნაკრებისთვის ჩვენს კუნძულზე კიდევ სამი-ოთხი ნიჭიერი მეგულება. ჩემს მაგალითზე მათ დავანახე, რისი მიღწევა შეიძლება, როცა დიდი სურვილი გამოძრავებს“.

რიჩარდსონს თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა, სპორტით ერჩინა თავი და ხელბურთი ირჩია, თუმცა არც კალათბურთსა და ფეხბურთს თამაშობდა ურიგოდ. ხასიათითაც გამორჩეულია — დიდხანს ძილი უყვარს, ცოტა ზარმაციცაა და ვარჯიშითაც არ იკლავს მაინცდამაინც თავს. მას ღვთისგან მომადლებული ნიჭის იმედი აქვს.

მოედანზე იგი საოცრად სხარტია. მარსელის კლუბ „ვიტროლში“, სადაც უკვე მეოთხე წელია გამოდის, დაცვაში თამაშობს. საფრანგეთის ნაკრებშიც ამასვე აკისრებენ. „მე მწვრთნელების მჯერა“ — ამბობს ჯექსონი — „საფრანგეთის ნაკრებს წარმატებები მწვრთნელთა სწორმა საქმიანობამ მოუტანა“.

რიჩარდსონის უმთავრესი ოცნება მსოფლიოს ჩემპიონობა იყო. აკი ორი კვირისწინ აუხდა კიდეც. „ბარსელონისა და სტოკჰოლმის (ოლიმპიადაზე ფრანგებმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, შარშანწინ შვეციაში კი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონები გახდნენ. — ე.კ.) შემდეგ ფრანგებმა გაიგეს, რა არის ხელბურთი. ნაკრებში ძირითადი ბირთვი ატლანტამდე დარჩება, ცხადია, ახლებიც შემოგვემატებიან. მალე უკეთესად და უფრო ლამაზად ვითამაშებთ. ჩემი პირადი მიზანი კი ისაა, რომ დაცვაში მართლაც საუკეთესო ვიყო“ — გვპირდება ჯექსონი.

ერეკლე კიკილაშვილი

### აქეთური, იქითური

23 მაისს მაკლარენმა 7-მილიონ-გირვანქიანი კონტრაქტი გაუუქმა ნაიჯელ მანსელს, ვისაც ახალი მანქანა [illegible] აუგო, მაგრამ ამან თავი მაინც ვერაფრით გამოიჩინა. ფორმულა-1-ში „ბიგ ნაიჯმა“ გამართა 187 რბოლა, მოიგო 31 დიდი პრიზი და ერთხელ ჩემპიონიც გახდა. მანსელის ადგილზე დააბრუნეს მარკ ბლანდელი, ვინც [illegible] გაკოტრების პირასაა: თუ მაისის ბოლომდე რამდენიმე მილიონს ვერ მოუყარა თავი, წლევანდელ ჩემპიონატს გამოაკლდება.

*

მონაკოს დიდი პრიზის დღეს ამერიკაში გაიმართა ინდი-კარის ჩემპიონატის უპირველესი რბოლა „ინდი 500“. მრბოლებს „ოულდ ბრიქიარდისთვის“ 200 წრე უნდა შემოევლოთ. პირველივეზე რენო-ფორდით მოასპარეზე 42 წლის სტენ ფოქსის მანქანა შეეჯახა კედელს. მრბოლი ძლივს ამოიყვანეს ნამსხვრევებიდან, საავადმყოფოში კი ტვინის ოპერაციაც გაუკეთეს. წლევანდელი შეჯიბრებისას სულ ხუთი შეჯახება ალინუსხა. საბოლოოდ გაიმარჯვა 24 წლის ჟან ვილნევმა, ვინც ლეგენდარული ჟილ ვეილნევის ვაჟია. მას ორი წრით ჩამორჩა კიდევ ერთი დიდი მრბოლის — ემერსონ ფიტიპალდის ვაჟი კრისტიანი. ეს ჩამორჩენა წესის დარღვევის გამო დაკისრებული სასჯელის ბრალი იყო. რბოლაში 33 მანქანა ჩაება. შერჩევის შედეგად მონაწილეთა სიაში ვერ მოხვდნენ წინა ორი წლის გამარჯვებულები: ემერსონ ფიტიპალდი და ალ ანზერ-უმცროსი.

*

მძლეოსანთა 1997 წლის მსოფლიო ჩემპიონატს მეხიკოს ნაცვლად უმასპინძლებს ათენი. 21 მაისს ასე გადაწყვიტა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ გეტებორგში, სადაც წელსვე, აგვისტოში გაიმართება ამავე რანგის შეჯიბრება.

*

19 მაისს, რინგზე გალახვიდან თითქმის ორი კვირის თავზე გარდაიცვალა კოლუმბიელი მსუბუქწონოსანი ჯიმი გარსია. ამ კაცს შერკინების წინა ორ თვეში ერთბაშად 13,5 კილო დაუკლია და ამერ[illegible]ელი გაბრიელ რუელასის ცემის იოტის[illegible]დენა შანსიც ვერა ჰქონია. ლას-ვეგასის ბრძოლაში გარსიას ტვინი ისე დაუშავდა, რომ ექიმებმა ველარ გადაარჩინეს. ამის გამო ბებერ ჯორჯ ფორმენს უთქვამს, დროა, პროფესიულ კრივშიც შემოვიღოთ ჩაფხუტებიო, გარსიას დაკრძალვას კი კვირას მის მშობლიურ ქალაქ ბარანკილიაში ათასობით კაცი დაესწრო.

*

ციხიდან გამოშვებული მაიკ ტაისონი [illegible]რველ შერკინებას 19 აგვისტოს ლას-ვეგასში გამართავს. მისი მეტოქე იქნება კრივის მსოფლიო საბჭოს რეიტინგი მეათე ნომერი, 26 წლის პიტერ მაკნილი, ვისაც მამა პროფესიონალი მოკრივე ჰყოლია, [illegible] შერკინებიდან კი ერთადერთი წაუგია.

*

21 მაისს ატლანტიკ-სიტიში 32 წლის ევანდერ ჰოლიფილდმა ქულებით ერთხმად დაამარცხა მისსავით ვეტერანი რეი მერსერი. შარშან აპრილში ტიტულის დაკარგვის შემდეგ ჰოლიფილდი გულმა შეაწუხა და ახლაღა დაუბრუნდა რინგს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი-79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29